პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. ს. ს.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია:
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 155 კვირა 8 ივლისი, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 75,000 მან.

№ 155

ბიბლიოთეკა საჯარო თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

— საკავშირო ცაკის სესიამ საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეთ ამხ. ლენინი აირჩია.

— შვეციის სამრეწველო და სავაჭრო წრეები დაჟინებით მოითხოვენ საბჭოთა რუსეთის ცნობას.

— მონგოლეთის დიპლომატიურმა მისიამ შეთანხმებას მიაღწია საბჭოთა რუსეთთან და უკან ბრუნდება.

— რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობა მტკიცდება.

— მთელ საბჭოთა ფედერაციაში გრძელდება მენშევიკების და ესერების განცხადებების გამოქვეყნება პარტიიდან გასვლის შესახებ.

ტფილ. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს ა. წ. 9 ივლისს, საღ. 6 საათზე დანიშნულია

აღმასკომის სხდომა

დღის წესრიგი:

1) გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის შემცირების შესახებ.
2) წყლის გადასახადზე სოციალურ-დიფერენციალური ტარიფების დაწესება.
3) მიმდინარე კითხვები.

პრეზიდიუმი.

სიკვდილის შემდეგ მონანიება გვიანაა

მენშევიკური პარტიის რიგებში მყოფ მუშების გამოფხიზლების და მენშევიზმისაგან მათი ჩამოშორების პროცესმა, რომელიც დაიწყო განსაკუთრებული სიძლიერით ნახევარი წლის წინად, უეჭველია დიდი შედეგები მოიტანა. ეხლა ცოტათ-თუ ბევრად სწორი ცნობების მიხედვით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მუშების და გლეხების მენშევიკურ პარტიისაგან ჩამოშორებამ მიიღო ძალიან ფართო, თუ გნებავთ სტიქიური ხასიათიც, როდესაც ერთი ჯგუფი სცდილობდა პირველობა მიეღო იმაში, რომ რაც შეიძლება ჩქარა გამომშვიდობებოდა პარტიას,—განშორების დროს ნწუხარებას ადგილი არ ჰქონია,—თავის არასახარბიელო წარსულს. და ამან გამოიწვია ის, რომ ისეთ ქვეყანაში, რომელიც არც ისე დიდი ხანია ითვლებოდა მენშევიზმის სანიმუშო ქვეყნად (ანუ მეფის სოციალისტის ვანდერველდეს სიტყვით, „მზიურ სოციალიზმის“ ქვეყანაში)—მენშევიზმი სანიმუშოთვე გაიხრწნა და პარტიაში მუშების და გლეხების სულ უმნიშვნელო ჯგუფიღა დარჩა. ეს უდავო ფაქტია. და ტყუილ უბრალოთ სცდილობენ ზოგიერთი რეგვენები ახსნან მენშევიზმის დაშლა ხელისუფლების ორგანოების ან საგანგებო კომისიის ტერორით, ძალდატანებით და იძულებით მაშინ, რატომ მოხდა ის, რომ ცარიზმმა ვერ აიძულა მუშები უარეყოთ პარტიული სახელწოდება? რატომ მოხდა ის, რომ ვერც კატორღამ, ვერც გადასახლებამ, ვერც ჟანდარმერიის დევნამ ვერ გასტეხეს მუშა-სოციალ-დემოკრატები? რატომ ეხლა საბჭოთა ხელისუფლების დროს, შარშან და შარშანწინ ადგილი არ ჰქონია პარტიიდან ასეთ მასიურ გასვლას,—მაშინაც ხომ ხელისუფლების ორგანოები ჩვენ განკარგულებაში იმყოფებოდენ?

ცხადია, უფრო ღრმა მიზეზებია აქ და ეს მიზეზები მდგომარეობს იმაში, რომ მენშევიკური პარტია, მისი სრული გახრწნის შემდეგ (ხოლო ეს იყო არა შემთხვევითი, არა დროებითი, არამედ ხანგრძლივი პროცესი), დაჰკარგა რა მან მთელი თავისი სოციალისტური და რევოლიუციონური შინაარსი, დაადგა ბანდიტურ ავანტიურების გზას (თურმე დემოკრატიის საშუალებით პირდაპირი გზა მიდის არა სოციალიზმისაკენ, არამედ ბანდიტიზმისა და ფაშიზმისაკენ), ხოლო მეორეს მხრივ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 2 წელმა დაუმტკიცა ყველას, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია სავსებით დაიცვას და უზრუნველჰყოს საქართველოს მშრომელთა მასების სოციალურ-ეკონომიური და ეროვნული ინტერესები. ამან აიძულა მუშები და გლეხები—მენშევიკურ პარტიის უბრალო წევრები გასულიყვენ პარტიიდან. სწორეთ ამან აამოძრავა მენშევიკების ინტელიგენტური ნაწილი,—ზოგიერთი მათგანი დაშლის შემდეგ კიდევ უფრო აქტიურები გახდენ და დაადგენ შეურიგებელ ავანტიურის გზას, დანარჩენები კი შეუდგენ თავის ტაქტიკის გადასინჯვას.

ავანტიურაზე ზედმეტია ლაპარაკი და არც ღირს მათთან ამაზე კამათი, ვინაიდან „კუზიანს საფლავი გაასწორებს“. ტაქტიკის „გადამსინჯველებზე“ კი საჭიროა შევჩერდეთ, რათა ერთხელ კიდევ დავრწმუნდეთ მენშევიზმის სიმხდალესა და ხრარამბაში.

მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ ერთ-ერთ ძველ მენშევიკის—კაპიტონ გოგოლაძის გამოსვლა, რომელმაც მოათავსა თავისი წერილი გაზეთ „კომუნისტში“ (№ 67, 5 მარტი). სთვლის რა დამღუპველად მენშევიკების ძველ ტაქტიკას, ის სწერდა: „რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გამოვნახოთ საერთო ენა კომუნისტურ პარტიასთან. სხვა გზა არ არის... უნდა გადავლოთ ცრუ თავმოყვარეობა და პარტიული ჯიუტობა“... მან კატეგორიულად დაუჭირა მხარი კომპარტიასთან შეთანხმების ყოველგვარ ავანტიურის და იმპერიალისტურ ინტერვენციის უარყოფის „ახალ გზას“, ვინაიდან იგი „ჯერ ერთი მიუღებელია, ხოლო მეორეც—ფიქციაა, ზღაპარია და მეტი არაფერიო“. ერთის შეხედვით, ასეთი წერილის შემდეგ გოგოლაძეს შემდეგი ნაბიჯიც უნდა გადაედგა, რადგან თუ „ანი“ სთქვა, მან „ბანის“ თქმაც უნდა მოახერხოს. მაგრამ გოგოლაძის მეშჩანურმა, ინტელიგენტურმა ბუნებამ ვერ გაუძლო მენშევიკების ცეკას სასტიკ თავდასხმას, რომელსაც არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებია პარტიიდან მასიური გასვლა და გოგოლაძის გამოსვლები. გააფთრებულმა მენშევიკების ცეკამ სპეციალურ წერილებში № 6 და 7 აუწყა თავის დაქსაქსულ სამწყსოს,—მღვდლის ტონით, სამწუხარო ამბების შესახებ და განსაკუთრებით დაგმო გოგოლაძის ერეტიკული გამოსვლა, უწოდა რა ამას „დაღლილ ობივატელის გაქცევა ბრძოლის ასპარეზიდან“, „სამარცხვინო ღალატი“, მორალური და პოლიტიკური სიკვდილი“.

ცეკას ასეთმა ატესტაციამ და გამოფიტულ მენშევიკურ ეკლესიისაგან ჩამოშორების შიშმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა გოგოლაძეზე და ის შეეცადა „გაწმენდილიყო“ ცოდვებისაგან მენშევიკების ცეკასთვის მონანიების წერილის გაგზავნით.

რა თქმა უნდა სულ სხვა და სხვა საქმეა ერთის მხრით სწერო ბოლშევიკურ ორგანოში „კომუნისტში“ და მეორეს მხრივ ბრმათ გაუგზავნო თავის გაკოტრებულ პარტიულ მოძმეებს. აქ ის უფრო გულწრფელია. თურმე მან დაუშვა დიდი შეცდომა და დანაშაულიც კი, რომ დაბეჭდა თავისი წერილი მოწინააღმდეგის ორგანოში („ამ გულის ნაღველს საფლავში თან ჩავიტანო“ სენტიმენტალურად სწერს გოგოლაძე), თურმე ქართველ ხალხს არ სურს ბოლშევიზმი, სძაგს იგი. ამოჩნდა, რომ ბოლშევიკები ეყრდნობიან მხოლოდ ხიშტებზე, მაგრამ ცხადია, „მუდამ ხომ ვერ იმეფებენ ისინი“... საიდან მოგივიდათ ასეთი გულთამხილება? საიდანაა ასეთი ტონი, მოქალაქე კაპიტონ?

ორი სამი თვის წინად ხომ გოგოლაძეს საჭიროდ მიაჩნდა ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ—გამონახა საერთო ენა კომპარტიასთან.

როგორ უნდა ვიქონიოთ საერთო ენა მტერთან, რომელიც ხიშტებს ემყარება და რომელსაც, მაშასადამე, უნდა ვებრძოლოთ. თუ ბოლშევიკები მტრები არიან, რომელნიც ეზიზღება ხალხს, ისინი ჩამოგდებულ უნდა იქნენ, მაგრამ მაშინ გოგოლაძის პირველი წერილი—პოლიტიკური შანტაჟია. აშკარაა, რომ გოგოლაძეს, როგორც დახელოვნებულ მენშევიკურ გაიძვერას, სურდა ვიღაცა მოეტყუებია, მაგრამ თვითონ უიმედოთ დაიბნა და სულელათ დარჩა.

გოგოლაძე მოითხოვდა პოლიტიკის „გადაშინჯვას“, ეძებდა „ახალ გზას“. რისთვის? ამაზე ის მოგვითხრობს მეორე წერილში. მენშევიკური საქმე უიმედო მდგომარეობაშია. მათ არსად მოკავშირეები არ ჰყავთ. თვითონ განსაჯეთ.

აზერბეიჯანის დემოკრატია და ჩვენი მეზობელი მუსლიმანები (ე. ი. ალბათ, მენშევიკები) არამეგობრულათ არიან განწყობილი ოსმალეთის მიმართაც.

სომხეთის დემოკრატია არც თუ განსაკუთრებულად კეთილი სურვილებით არის განწყობილი ჩვენ მიმართ, სწერს მოქ. გოგოლაძე.

მაშასადამე ახლო მეზობლებზე იმედების დამყარება შეუძლებელია.

როგორია დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის დამოკიდებულება ჩვენ მიმართ—კითხულობს გოგოლაძე და შემდეგ დამახასიათებელ პასუხს იძლევა: „მეტათ მეგობრული. მას ყველაფერი კარგი სურს ჩვენთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლშევიკების მიმართ ის ორჭოფულ პოზიციას ადგია. ის კატეგორიულად მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლების დე-იურე ცნობას და იმავე დროს არ ცნობს ბოლშევიზმს, თითქოს ბოლშევიზმი და რუსეთის საბჭოთა ხელის უფლება ორი სხვადასხვა ცნება იყოს“.

„ინგლისის მუშათა პარტია მაკდონალდის მეთაურობით თავგანწირულათ იბრძვის რუსეთის დე-იურე ცნობისათვის და იმისათვის, რომ მას არავინ ახლოს ხელი.

ერთი სიტყვით, **ამ საკითხშიაც ჩვენ განცალკევებულად ვდგევართ ევროპის მუშათა კლასისაგან.**

მაშასადამე, არც ახლო მეზობლებს და არც შორეულებს არ სურთ საწყალ მენშევიკურ „დემოკრატიისათვის“ დახმარების გაწევა. შეიძლება დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოებმა უშველონ. მაგრამ, არა. აქაც მოქ. კაპიტონს პესიმისტური ტონი აქვს.

დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზია, მისი სიტყვით, „ყოველგვარ საძაგლობაზე წავა: შეგვაქებს ჩვენ, მოგვეფერება, დაგვპირდება, შემდეგ კი მოგვატყუებს, გაგვყიდის თავის საკუთარ ინტერესებისათვის... ფარისევლურად მოაწერა რა ხელი ინგლისმა ჩვენს სრულ დამოუკიდებლობას, ინგლისელებმა ხომ გაგვყიდეს და გაგვცეს ჩვენ... აქედან როგორი გამოსავალია. საჭიროა რაღაც ახალი ტაქტიკის გამოგონება, რომ ეშველოს მენშევიკების უიმედო საქმეს. და მოქ. კ. გოგოლაძე რჩევას იძლევა, რათა მენშევიკები დაადგენ „ძალების დაზოგვის ტაქტიკას და ნაკლები ნდობით მოეპყრან უცხო სახელმწიფოების დაპირებებს. და თუ ეს შესაძლებელია, ჩვენ უნდა გამოვნახოთ საერთო ენა ბოლშევიკებთან. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ ბოლშევიკებათ გავხდეთ და ტაში დაუკრათ ბოლშევიზმს. საერთო ენა მე მესმის ისე, რომ საოკუპაციო ძალასთან საჭიროა ზავის ჩამოგდება. არ შეიძლება კაცის თოფებით გამოსვლა ზარბაზნებისა და ტყვიისფრქვეველების წინააღმდეგ.

ჩვენს გამოსვლებს ზარალის მეტი არაფერი არ მოაქვს.

ჩვენ უარი უნდა ვთქვათ გამოსვლებზე, მაგრამ სამაგიეროთ ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ციხეების და სარდაფების კარების გაღება“ ხომ დავდევით ჩვენ ცუდი ზავი ოსმალეთთან; რატომ არ უნდა დავდვათ ასეთივე ზავი ბოლშევიკებთან—თავაზიანულათ მსჯელობს მოქ. გოგოლაძე, მაგრამ მას დაავიწყდა ერთი პატარა გარემოება, ეს ის, რომ ოსმალეთთან ზავი დასდო ასე თუ ისე სახელმწიფომ, რომელსაც მენშევიკები მეთაურობდენ, ეხლა კი მენშევიკური სახელმწიფო დიდი ხანია მოკვდა, ნ. ჟორდანია და მისი მეგობრები დიდი ხანია გაიქცენ და ეხლა „იცავენ“ საქართველოს ინტერესებს საქართველოს გარეშე (ეს კი ცოტა არ იყოს უხერხული დაცვაა), თვით მენშევიკური პარტია კი უკვე არსებობს—ის დაიშალა, როგორც კოლოფის სახლი. რომელია ეს სხვა ძალა, რომელთანაც ზავი უნდა დასდოს საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელსაც პოლიტიკური შარლატანების ენაზე „საოკუპაციო ხელისუფლება“ ეწოდება. ციხეებში და სარდაფებში მჯდარ კონტრ-რევოლიუციონერებთან ხომ არა, რომელთა გამოშვებასაც მოითხოვს გოგოლაძე, ალბათ, ბანდიტიზმის მენშევიკურ „თავისუფლების“ ინტერესებისათვის მენშევიკურ პარტიასთან ხომ არა, რომელიც არ არსებობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ არა ლეგალურათ დარჩენილ პარტიის ცეკას, რომელსაც არავითარი პარტია არა ჰყავს. მაგრამ ცოცხალ კონტრ-რევოლიუციონერებთან და ბანდიტებთან საბჭოთა ხელისუფლებას აქვს „შეთანხმების“ ერთი ენა ბოლომდე შეუბრალებელი ბრძოლა. მკვდარ ლეშთან კი ზავს არ ჰკრავენ, ამ ხელობას ჩვენ უთმობთ გენიოს „ტაქტიკოსს“ გოგოლაძეს.

საბჭოთა საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ძალიან კარგათ გაუსინჯეს კბილი მენშევიკების მეთაურების აქაურ და საზღვარგარეთულ მუშაობას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ აქ ისინი გულმოდგინეთ ჩექმას ულოკავენ მეფის ყოფილ მოსამსახურეს —ბრწყინვალე თავადს ქაქუცა ჩოლოყაშვილს, და საზღვარეთ კი ასევე დახელოვნებულათ ვარჯიშობენ ლორდ კერზონის ლამაზ ფეხსაცმელებზე, მაგრამ ვერც შინაური და ვერც გარეშე ძალები ვერ შესძლებენ მენშევიკურ პარტიის სიკვდილის შეჩერებას. სიკვდილი უკვე მოვიდა. მისი გახრწნილი სუნისაგან გარბის ყოველი, რასაც კი სიცოცხლე შეუძლია. ცოცხალი ელემენტები-მუშები და გლეხები ხმა მაღლა, ყველას დასანახავათ, თავისი საკუთარი ხელებით ჰკლავენ პარტიას. რადგან ტარას ბულბასავით მათ უფლება აქვთ სთქვან: „**ჩვენ დაგბადეთ შენ** (პარტია) **და ჩვენვე მოგკლავთ შენ**“ პარტია თავისი საკუთარი წევრების მიერვე არის მოკლული, პარტია უსახელოთ მოკვდა. და არავინ არ დაღვრის ცრემლებს მის გახრწნილ ლეშზე, არავინ არ უმღერს მას სიმღერას.

და როდესაც ეხლა მოწუწუნე მეშჩანინი და უხერხემალო ინტელიგენტი გოგოლაძე რაღაც „ახალ გზების“ ძიებაში მაინც ბორგავს მენშევიკურ პარტიის სიკვდილის წინ,-ასს და ათასს პატიოსან მუშებისა და გლეხებისაგან, რომელნიც გაბედულათ სტოვებენ მენშევიკების პარტიას, ის ღირსეულ პასუხს ღებულობს „**სიკვდილის შემდეგ გვიანღაა მონანიება**“.

მიხ. კახიანი.

საკავშირო ცაკის სესია

სესიის გახსნა.

მოსკოვი. 7 ივლისი. 6 ივლის დილის ზეიმით გაიხსნა საკავშირო ცაკის სესია. სესიის გახსნას დაესწრო მთელი დიპლომატიური კორპუსი. სესიამ უნდა დაამტკიცოს ს.ს. რ. კავშირის ძირითადი კანონი—კონსტიტუცია და აგრეთვე უნდა აირჩიოს საკავშირო სახალხო კომისართა საბჭო.

ამხ. ენუქიძის მოხსენება.

დიდი სიტყვით გამოვიდა ამხ. ენუქიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ კონსტიტუციის მიღებით ფორმალურათ დასრულდება ცალკე საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანება. „დღემდი, —სთქვა ამხ. ენუქიძემ,—საბჭოთა რუსეთმა, რომელსაც თავს ესხმოდენ უცხოეთის კაპიტალისტები, შიგნით კი მას უხდებოდა ბრძოლა შავ კონტრ-რევოლიუციასთან, ვერ მოახერხა ამის განხორციელება. მაგრამ ს. ს. რ. კ. მუშებისა და გლეხების გმირულმა ენერგიამ სძლია ყველა დაბრკოლებებს. შინაური კონტრ-რევოლიუცია განადგურებულია ერთხელ და სამუდამოთ. ოცნება უცხოეთის ინტერვენციის შესახებ ჯერ კიდევ სცოცხლობს ზოგიერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, მაგრამ ს. ს. რ. ძლიერი კავშირის დამყარება მალე დაუკარგავს მათ რუსეთში არსებული წესწყობილების შეცვლის ცდის სურვილს. კაპიტალისტების მუქარა აიძულებს საბჭოთა რესპუბლიკებს გაერთიანონ სამხედრო საქმის, საგარეო პოლიტიკის და საგარეო ვაჭრობის ხელმძღვანელობა. ამასვე აიძულებს მათ ს. ს. რ. კ. ეკონომიური აღორძინების ინტერესებიც.

საკავშირო კონსტიტუცია ითვალისწინებს ს. ს. რ. კ. ტერიტორიაზე მცხოვრებ ერების კულტურის ნაციონალური თვით შენების დონის და ყოფა-ცხოვრების სხვა და სხვაობას. ეს აძლევს საბჭოთა რესპუბლიკებს შესაძლებლობას განავითარონ თავის ნაციონალური ძალები, ამაღლონ ცალკე ერების კულტურული დონე. ყველა ამ საკითხების მოგვარება ევალება ცალკე რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებს. კონსტიტუცია საშუალებას აძლევს ცალკე ერებს განავითარონ თავიანთი კულტურა იმ ენაზე, რომელიც მათთვის გასაგებია, მაგრამ რუსული ენა, როგორც ენა ოქტომბრის რევოლიუციის რევოლიუციისა მშობლიურ ენასთან ერთად უნდა ისწავლებოდეს ს. ს. რ. კავშირის მთელ ტერიტორიაზე. ყველა ერებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა ეს ენა გავრცელდეს და განვითარდეს“.

ეხება, რა ქვეშევრდომობის საკითხს, ამხ. ენუქიძე ამბობს, რომ ს. ს. რ. კ. ყველა მოქალაქე ერთნაირი უფლებებით სარგებლობს რესპუბლიკის კავშირის მთელ ტერიტორიაზე. ის ერთ და იმავე დროს არის მოქალაქე როგორც ერთიანი საკავშირო სახელმწიფოსი, ისე ცალკე რესპუბლიკისა. ასევე დგას უცხოელების უფლების საკითხი კავშირის ტერიტორიაზე.

ამხ. ენუქიძე აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის გამომუშავებაში მონაწილეობას იღებდა პარტია მისი ხელმძღვანელი ორგანოების სახით. კონსტიტუცია მიღებულია ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების მიერ.

ამხ. ენუქიძე კითხულობს კონსტიტუციის ტექსტს.

კონსტიტუცია ერთხმად იქნა მიღებული და ძალაში შედის მიღებისთანავე.

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის შედგენამდი კონსტიტუციის თანახმად, მთელ მის ფუნქციებს სესია აკისრებს ახლა არსებულ საკავშირო ცაკს, რომელსაც ევალება შეადგინოს საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭო, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, სახელმწიფო ბანკი და აგრეთვე მოამზადოს დებულება საკავშირო ცაკების, სახკომსაბჭოს, ცალკე კომისარიატების, სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს და უმაღლეს სასამართლოს შესახებ.

კონსტიტუციის ტექსტს საბოლოოთ დაამტკიცებს ს. ს. რ. კ. საბჭოების მეორე ყრილობა.

საკავშირო კონსტიტუციის ტექსტის წაკითხვის შემდეგ ამხ. მდივანმა განაცხადა, რომ ის ტოვებს საკავშირო ცაკის თავმჯდომარის და ცაკის პრეზიდიუმის წევრის თანამდებობას. ამიერ-კავკასიის წარმომადგენლების წინადადებით ცაკის პრეზიდიუმში ამხ. მდივანის მაგიერ არჩეულია ამხ. მიხა ცხაკაია.

საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ სესია ერთხმად ირჩევს ამხ. ლენინს. არჩევნებს ფარავს მქუხარე ტაში. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოში არჩეული არიან: სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად ამხ. კამენევი, ცურიუპა, ჩუბარი, ორახელაშვილი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი—ამხ. ჩიჩერინი, სამხედრო კომისარი—ამხ. ტროცკი, საგარეო ვაჭრობის—ამხ. კრასინი, გზათა-მიმოსვლის—ამხ. ძერჟინსკი, ფოსტა-ტელეგრაფის—ამხ. სმირნოვი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის—ამხ. კუიბიშევი, შრომის—ამხ. შმიდტი, სასურსათო საქმეთა—ამხ. ბრიუხანოვი, ფინანსთა—ამხ. სოკოლნიკოვი, სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე—ამხ. რიკოვი.

სესიის დასასრულს ამხ. ნარიმანოვი ლაპარაკობს იმ ბრწყინვალე პერსპექტივების შესახებ, რომელიც იშლება ს. ს. რ. კ. წინაშე კონსტიტუციის მიღების შემდეგ.

საკავშირო ცაკის სესია დაიხურა.

მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრების კონფერენცია

პირველ რაიონში

6 ივლისს ნაძალადევის თეატრში შესდგა პირველი რაიონის მენშევიკური ორგანიზაციის ყოფილი წევრების კონფერენცია. მას დაესწრო ამ ჟამათ თბილისში მყოფი ამხ. მარტინოვი, ყოფილი ბელადი მენშევიკური პარტიისა.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ **ამხ. ქორიძე, სიხარულიძე, გნოევოი, ქორიძე, ლუკაშინი** და სხვ. საპატიო თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა **ამხ. მარტინოვი.**

დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) მენშევიკური ცეკას რეზოლიუცია. 2) ამხ. მარტინოვის მოხსენება ბოლშევიზმზე და მენშევიზმზე. 3) დეკლარაციის მიღება.

კონფერენციის მასალებიდან ჩვენ დღეს ვაქვეყნებთ მენშევიკური ცეკას ყოფილი წევრის და ყოფ. დამფუძნებელი კრების წევრის ა. ი. ფარნიევის სიტყვას და მიღებულ დეკლარაციას.

დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

1 რაიონის მუშა-რკინისგზელების, მენშევიკური პარტიის ყოფილ წევრთა კონფერენცია აცხადებს მშრომელი ხალხის საყურადღებოთ შემდეგს:

უკეთებთ რა ღრმა ანალიზს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიის სამი წლის მოღვაწეობას, ჩვენ მივდით შემდეგ დასკვნამდე:

1. მენშევიკურმა პარტიამ, გამოაცხადა რა თავი დიდი ოქტომბრის მტრათ, ამით ის დარჩა მთელი მუშა კლასის მტრათ.

2. გაწყვიტა რა კავშირი რუსეთის პროლეტარიატთან, მან შეჰკრა კავშირი მებრძოლ პროლეტარიატის სასტიკ მტრებთან: ალექსეევთან, დენიკინთან და სხ. კონტრ-რევოლიუციონერ ძალებთან.

3. მთელი სამი წლის მუშაობა მენშევიკური პარტიისა საქართველოში გადიოდა დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმთან კავშირის და მუშა-გლეხთა მთავრობის მტრობის ნიშნის ქვეშ.

4. მუშებსა და გლეხების მისწრაფება, რომ დაემყარებიათ თავიანთი მთავრობა, მთავრობა მუშათა და გლეხთა, ცეცხლითა და მახვილით ისპობოდა მენშევიკური პარტიის მიერ.

5. ასობით და ათასობით საუკეთესო რევოლიუციონერები ტანჯვბოდენ ციხეებში და იღიტებოდენ, ხოლოთ ისინი მისწრაფებოდენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისაკენ.

6. იმის მაგიერ, რომ გაეტარებიათ წმინდა მუშური პოლიტიკა, მენშევიკური პარტიის ლიდერები ჩვენ გვირჩევდენ შეთანხმებას ბურჟუაზიასთან, გადასვლას სოციალიზმში დემოკრატიზმის გზით და სხვა.

7. ფაქტიურათ დემოკრატიული გზა სოციალიზმისკენ გამოიხატებოდა ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის ბატონობაში საქართველოში, ნაციონალურ შუღლში, სახალხო მეურნეობის დანგრევაში და რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატთან ბრძოლაში.

8. საშინელი დანაშაული მენშევიკების მხრით პროლეტარიატისა და რევოლიუციის წინააღმდეგ არ განისაზღვრა ამით. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც მენშევიკური პარტია განაგრძობდა ამ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებასთან სრულიად შეთანხმებულათ და კავშირში ბურჟუაზიულ პარტიებთან (ეროვნულ-დემოკრატებთან და მემარჯვენე ფედერალისტებთან), ბანდიტებთან და ყოფილ თავად-აზნაურობასთან, რომლების იდეალია რეაქციონურ-ბურჟუაზიულ წესწყობილების დამყარება.

ყველა ამ და ათას სხვა დანაშაულობამ, რისთვისაც მენშევიკური პარტია პასუხს აგებს ისტორიის წინაშე, აგვეხილა თვალები ჩვენ, მრავალ წლობის განმავლობაში აქტიურათ მომუშავეებს მენშევიკურ პარტიაში, შევვაგნებია ჩვენი შეცდომები და დანაშაულებანი, გვაიძულა უარვყოთ ის გზა, რომლითაც მივდიოდით ჩვენი ყოფილი ბელადების რჩევით და ჩვენი წასვლა მენშევიკური პარტიიდან არ შეიძლება აიხსნას ძალდატანებით მთავრობის მხრით. ეს არის შეგნებული გასვლა ამ პარტიიდან, რომელსაც აქვს დიდი ღვაწლი წარსულში, მაგრამ რომელიც ეხლა უკვე ჩამოშორდა პროლეტარიატის ისტორიულ გზას. და მწარე ტკივილებით ვტოვებთ იმ პარტიას, რომელთანაც დაკავშირებულ—შედუღებული ვიყავით მრავალწლობის ბრძოლით მუშათა საქმისთვის.

იმ მომენტში, რაც მსოფლიო ბურჟუაზია ფაშიზმის სახით ირაზმება პროლეტარიატის წინააღმდეგ, ჩვენ მუშები, ძველი რევოლიუციონერები, ბრძოლაში გამობრძმედილი, მოუწოდებთ ყველას გაერთიანებულ მუშათა ფრონტისკენ იმ პარტიის დროშების ქვეშ, რომელმაც შესძლო მუშათა კლასის შეკავშირება, რომელიც მაგრად სდგას პროლეტარიატის საიმედო პოზიციებზე და იცავს მის ინტერესებს.

ვიხსენებთ რა წყევლა-კრულვით მენშევიკური პარტიის ტაქტიკას, რომელმაც მიგვიყვანა რევოლიუციონურ პროლეტარიატის და გლეხების დაქსაქსვამდე, მოუწოდებთ ყველა იმ პატიოსან მებრძოლთ, რომლებიც დღემდე კიდევ დაბრმავებულნი იმყოფებიან მენშევიკურ პარტიის რიგებში, დაანებონ თავი ამ პარტიას და დადგენ მესამე ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ.

დეე, საბედისწერო შეცდომებმა და მძიმე დანაშაულობამ, რაც ჩადენილი იქნა ჩვენ მიერ მენშევიკურ პარტიის რიგებში, ყოვლად აგვეხილოს თვალი და გაგვხადოს შეგნებულ მოწადინეთ პროლეტარიატის დიდი ბრძოლის მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციისთვის.

ამასთანავე ჩვენ ვაცხადებთ დაშლილათ პირველ რაიონის (რკინისგზელთა) მენშევიკურ ორგანიზაციას, ვინაიდან ყველა მისი წევრები გამოსულია პარტიიდან, და წინადადებას ვაძლევთ, რომ ამიერიდან არავინ ისარგებლოს იმ ორგანიზაციის სახელით, რომელიც აღარ არსებობს.

იმ მიზნით, რომ გამორკვეულ იქნას საკითხი მენშევიკურ პარტიის შემდეგში არსებობის შესახებ, წინადადებას ვიძლევით მოწვეულ იქნას ყოფილ მენშევიკების კონფერენცია თბილისისა და საქართველოს მასშტაბით, სადაც უნდა მიღებულ იქნას უკანასკნელი გადაწყვეტილებანი მენშევიკური პარტიის როლის შესახებ რევოლიუციის განვითარების მსვლელობაში და მისი შემდეგში არსებობის საკითხი.

ძირს მენშევიკური პარტია, რომლის გზა მოფენილია მძიმე დანაშაულობით პროლეტარიატისა და რევოლიუციის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას.

რადიო-დეპეშები

(„ზაქროსტას“ ცნობები)

საკონტრიბუციო საკითხი

საიდუმლოთ.

ბერლინი. 6 ივლისი. ინგლისი, საფრანგეთი და ბელგია შეთანხმდენ: მოლაპარაკების დამთავრებამდე კონტრიბუციის შესახებ ამ მოლაპარაკების შედეგები საიდუმლოთ იქნეს შენახული, რადგან გახმაურებას ეხლანდელ მომენტში მხოლოდ ვნების მოტანა შეუძლია საკითხის გადაჭრისათვის.

ინგლისის ინტერესები.

ლონდონი. 5 ივნისი. „ტაიმსი“ სწერს, რომ ინგლისის ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვენ ვაჭრობის აღორძინებას, ეს შეუძლებელია სარეპარაციო საკითხის გადაუწყვეტლად. ინგლისში ახლა ყველა აღიარებს რურის კონფლიქტის დაჩქარებით მოგვარების საჭიროებას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპის მთელ ეკონომიურ ცხოვრებას გაუქნა მოელის.

საფრანგეთ-ბელგიის პასუხი.

ლონდონი. 5 ივლისი. ინგლისის კაბინეტი 4 ივლისს მთელი დღის განმავლობაში იხილავდა საფრანგეთ-ბელგიის პასუხს. თუმცა თათბირის შედეგებს საიდუმლოთ ინახავენ, მაგრამ აქ ყველა დარწმუნებულია, რომ საფრანგეთის პასუხს არადამაკმაყოფილებლად თვლიან. როგორც ჩანს თათბირი კერზონსა და ელჩებს შორის გაგრძელდება, თუ მთავრობამ გადასწყვიტა გერმანიის მიმართ დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება, ამის შესახებ აუწყებენ პარლამენტს.

ეხება რა კერზონის მოლაპარაკებას ელჩებთან „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთის ელჩმა არა თუ არ გადასცა კერზონს წერილობითი პასუხი ინგლისის შეკითხვაზე, არამედ სიტყვიერი პასუხიც ბუნდოვანი და მიკიბ-მოკიბული არის. კერზონმა, რომელსაც იმედი გაუცრუა ამ გაურკვეველმა პასუხმა, სთხოვა ელჩს მოსთხოვოს თავის მთავრობას უფრო გარკვეული ინტერესები.

„მანჩესტერ გარდიენი“ იუწყება, რომ უკანასკნელ მომენტში საფრანგეთის პოზიცია შეიცვალა. კერზონს აგრძნობინებს, რომ საფრანგეთი წერილობითი პასუხს მისცემს ინგლისის შეკითხვაზე. გაზეთი მოითხოვს, რომ ინგლისი საჭიროდ თვლის წერილობითი პასუხს.

ინგლისის ამბები

დოკერების გაფიცვა.

ლონდონი. 5 ივლისი. დოკერების (გემების შესაკეთებელი სახელოსნოების მუშების) გაფიცვა ვითარდება. გაფიცვა გარდა ლონდონისა მოედო ბირმინგამს, ბრისტოლს, კარდიფსა და სხვა ქალაქებს. ლონდონში გაფიცულია 14 000 კაცი. სულ გაფიცულთა რიცხვი უდრის 80.000. გაზეთები აღიარებენ, რომ გაფიცვა მიმდინარეობს პროფკავშირების ლიდერების გარეშე, რადგან მათ უარი სთქვეს გაფიცვის ხელმძღვანელობაზე და აგიტაციას ეწევიან მისი შეწყვეტის სასარგებლოდ.

საგაფიცვო მოძრაობას უმთავრესად ხელმძღვანელობს ახალგაზრდობა. შერმონსში შესდგა დოკერების მრავალრიცხოვანი მიტინგი, სადაც კავშირის გენერალური მდივანი გოსლინგი მოუწოდებდა გაფიცულებს დაეცვათ ხელშეკრულება და შესდგომოდენ მუშაობას. გოსლინგს არ დააცალეს სიტყვის დასრულება. მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს გაფიცულებისათვის საერთაშორისო დახმარების აღმოჩენას.

ყველგან მიტინგებზე გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები კავშირის წინააღმდეგ, რომელიც ურჩევს გაფიცულებს განაახლონ მუშაობა.

5 ივლისს, ლონდონში გაიფიცა კიდევ 4000 კაცი. ამ ჟამად ლონდონში გაფიცულთა რიცხვი 18,000 უდრის. მანჩესტერში გაიფიცენ გემების არხების მუშები, ლივერპულში გაიფიცა 1500 დოკერი. ხვალ გადაწყდება საკითხი შეუერთდებიან თუ არა გაფიცვას ლონდონის ნავთსადგურის მუშები. მრავალრიცხოვან მიტინგზე ლონდონის დოკერებმა დაადგინეს წინადადება მისცენ პროფკავშირების ლიდერებს შეამოწმონ პირველ საჭიროების საგნებზე ფასების ინდექსი და თუ მთავრობამ არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნილება გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა. თუ ლიდერები მუშების ამ მოთხოვნილებას არ წარუდგენენ მთავრობას, ისინი უნდა გადადგენ.

ლონდონის წისქვილებში არის 8 დღისათვის საჭირო პურის მარაგი. ამ უკანასკნელ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ეძლევა, რადგან ხორბლის მტვირთავებმაც გაფიცვა გამოაცხადეს.

იტალია და ინგლისი

ლონდონი. 6 ივლისი. იტალიის ელჩმა მარკიზ დელლა ტორრეტტამ ინახულა ლორდი კერზონი; ამასთან დაკავშირებით ლონდონში ფიქრობენ, რომ იტალიის და ინგლისის მთავრობები სრულიად შეთანხმებით მოქმედებენ საკონტრიბუციო საკითხში. „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, რომ მუსოლინის დეკლარაციას იტალიის საგარეო პოლიტიკის შესახებ სიხარულით შეხვდენ ინგლისში, რადგან ის ეთანხმება ბრიტანეთის პოლიტიკას, რომელსაც გერმანიის პასიური წინააღმდეგობის მოსპობის და რურის საჩქარო ევაკუაციის სურვილი ასულდგმულებს. „ვესტმინსტერ გაზეტ“-ს ცნობები აქვს, რომ იტალიის ელჩის მიერ ლორდ კერზონის ნახვას მიზნათ აქვს მუსსოლინის შეხედულებების განვითარება, რომელიც თანდათან უფრო ემხრობა ბრიტანეთის თვალსაზრისს რურის საკითხში და ბრიტანეთის გეგმას საკონტრიბუციო პრობლემის გადაჭრის შესახებ.

ბერლინი. 6 ივლისი. კერზონთან შეხვედრის დროს დელლა ტორრეტტამ განაცხადა, რომ იტალია დაჟინებით მოითხოვს, რომ საფრანგეთმა დაუყოვნებლივ აცნობოს მას, როდესაც დაიწყება რურის ოკუპაცია, რადგან ოკუპაციის არის მიზეზი იმისა, რომ გერმანიის პროდუქცია პროგრესიულათ ეცემა. „სეკოლო“-ს სიტყვებით რურის ავანტიურა საფრანგეთის ეკონომიურსა და მორალურ კრახს ნიშნავს. საერთაშორისო საკონტრიბუციო კომისიის იტალიის წევრმა რომან გაზეთ „ტრიბუნა“-ს კორესპონდენტს აცნობა, რომ გერმანიამ, მიუხედავად ყველა დაბრკოლებებისა, რომელნიც ოკუპაციის მიერ იყვნენ გამოწვეული, იტალიის მიმართ აჟამდის შესრულა ყველა საკონტრიბუციო ვალდებულებანი, საფრანგეთს და ბელგიას კი ოკუპაციის დაწყებიდან ჯერ არაფერი არ მიუღიათ.

რურის საკითხი

რეპრესიები.

პარიზი. 6 ივლისი. დიუსელდორფიდან იტყობინებიან, რომ ფრანგებმა ხელში ჩაიგდეს 173 მილიონი მარკა, რომელიც დანიშნული იყო რურის მოსახლეობისათვის დასახმარებლათ.

სამხედრო წესები.

ბერლინი. 5 ივლისი. დიუისბურგში საფრანგეთის ჯარისკაცებმა მოკლეს ერთი გერმანელი მოქალაქე და დასჭრეს სამი. სამხედრო წესები გავრცელდა მიულგეიმზე, ობერგაუზენზე და ჰამბურგზე.

საფრანგეთი მარტოა.

სტოკჰოლმი. 5 ივლისი. გაზეთი „სოციალ-დემოკრატენი“, რომელიც მუდამ დიდის სიმპატიებით ეპყრობოდა საფრანგეთს, აღნიშნავს, რომ საფრანგეთი ახლა მარტოა, რადგან პუანკარეს პოლიტიკა ხელს უშლის ევროპის ეკონომიურ აღდგენას.

გერმანიის საპროტესტო ნოტა.

ბერლინი. 5 ივლისი. გერმანიის მთავრობამ პროტესტით მიმართა საფრანგეთს რურში გერმანიის ბანკების გაძარცვის გამო; გერმანიის მთავრობა მოითხოვს წაღებული თანხების დაბრუნებას.

იტალიის პოზიცია.

ბერლინი. 5 ივლისი. იტალიის ელჩს დე ლა-ტორრეტას თათბირი ჰქონდა კერზონთან. დე ლა-ტორრეტამ განაცხადა, რომ იტალიამ უნდა მიიღოს საფრანგეთისაგან გარანტიები რურის ევაკუაციის შესახებ, რადგან ოკუპაციის გამო გერმანიის გადახდის უნარიანობა თანდათანობით მცირდება.

გაზეთი „სეკოლო“ აღნიშნავს, რომ რურის ავანტიურა—საფრანგეთის ეკონომიური და მორალური გაკოტრების მაჩვენებელია.

მუსოლინის განცხადება.

რომი. 5 ივნისი. მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მუსოლინიმ განაცხადა, რომ სარეპარაციო საკითხში იტალია ეყრდნობა ლონდონის მემორანდუმს. მოკავშირეთა ვალების საკითხი დაკავშირებული უნდა იქნეს გერმანიისათვის მორატორიუმის მიცემის საკითხთან. გამორკვეული უნდა იქნეს რეპარაციების საბოლოო ჯამი და გადახდის ვადები. ფრანგებმა უნდა გამოიყვანონ ჯარები რურიდან, რადგან რურის ოკუპაცია მძიმე ლოდათ აწევს ევროპის ეკონომიურ ცხოვრებას.

ლოზანის კონფერენცია

პროცენტების გადახდა—თვითმკვლელობას უდრის

ანგორა. 5 ივლ. ქემალ-ფაშას ახლობელი თანამშრომელი დეპუტატი მახმუდი წერილში, რომელიც მოთავსებულია გაზეთ „ხაკიმეთი მილიე“-ში სწერს, რომ პროცენტების მიცემაზე დათანხმება თვით-მკვლელობას უდრის. „რამდენიმე პოლიტიკანი და გაუმაძღარი ფინანსისტები ერთი მუჭა ჯგუფ ხალხს უფსკრულში გადაჩეხვას უქადიან. ხალხის ვალია ლაგამი ამოსდვას ამ სისხლის მსმელებს. ოსმალეთმა სთქვა თავისი უკანასკნელი სიტყვა და წავიდა შესაძლებელ დათმობებზე. ევროპის ერებმა უნდა მოსთხოვონ პასუხი ამ ვაჟბატონებს“.

რუსეთი და იაპონია

რუსეთ იაპონიის მოლაპარაკება.

პარიზი. 5 ივლისი. კაბლოგრამმა დაწვრილებითი ანგარიშს იძლევა რუსეთ იაპონიის მოლაპარაკების შესახებ და ხაზს უსვამს მათ წარმატებით განვითარებას. გაზეთები ამბობენ, რომ ის დახმარება. რომელსაც უწევს იოფფეს ისეთი გავლენიანი დიპლომატი, როგორიც არის გოტტო, უზრუნველჰყოფს რუსეთის წარმატებას მოლაპარაკებაში.

რუსეთი და ჩინეთი

პეკინი. 5 ივლისი. უცხო გაზეთები, რომელნიც ჩინეთში გამოდიან, აღნიშნავენ, რომ ფოსტა ლონდონიდან რუსეთში გამოვლით პეკინში მოდის 22 დღეზე. აქამდის საბჭოთა მთავრობისადმი მტრულად განწყობილი „პეკინ ტაიმსი“ სწერს: „თუ წინეთ რუსეთში მოგზაურობა საშიში იყო, ამ ჟამად საშიშროებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. რუსეთის ცნობა საბაბი იქნება რუსეთთან რკინის გზის მიმოსვლის განვითარებისა“.

რუსეთი და მონგოლეთი

მონგოლეთის დიპლომატიური მისია.

მოსკოვი. 6 ივლისი. ამ დღეებში მონგოლეთის დიპლომატიური მისია მიემგზავრება მონგოლეთში. მოსკოვში ყოფნის დროს მისიამ შესძლო შეთანხმებისათვის მიეღწია სავაჭრო წარმომადგენლობის გაცვლა-გამოცვლისა, ზოგიერთ საქონელზე საბაჟო გადასახადის შემცირებისა და სავაჭრო-სამრეწველო მიზნისათვის რუსეთ-მონგოლეთის საზღვარის გადასვლის გაადვილების შესახებ. მდინარე სელენგაზე, რომელიც მონგოლეთში მიდის, განზრახულია შერეული გემების საზოგადოების მოწყობა. მიღებულია წინასწარი შეთანხმება ფოსტა ტელეგრაფის კონვენციის შესახებ. მისია ფიქრობს, რომ საბჭოთა რუსეთთან 3 წლის მეგობრობამ მონგოლეთს მისცა მეტი, ვიდრე მეფის მთავრობის 10 წლის პროტექტორატმა და ჩინეთის საუკუნოებრივმა ბატონობამ.

რუსეთი და სპარსეთი

რუსეთ-სპარსეთის ხელშეკრულება.

თეირანი. 5 ივლისი. ამხ. შუმიაცკის ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა შახთან. რეაქციონერებმა კამპანია დაიწყეს რუსეთ-სპარსეთის ხელშეკრულების შეთანხმებულ ტექსტის გადაშინჯვისათვის იმ მიზნით, რომ ჩაფუშონ ის.

სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვაჭრების კრებას იწვევს რომელზედაც ის მოხსენებას გააკეთებს რუსეთ-სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

სპარსეთის საშუალო და წვრილი ვაჭრები მომხრე არიან რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების დამყარების.

თეირანში ჩატანილ იქნა პირველად რუსეთის ფქვილი, რომელიც სპარსეთის ვაჭრებმა წამოიღეს ბაქოს ბაზრობიდან.

სხვადასხვა ამბები

შეერთებულ შტატებში.

ვაშინგტონის კონფერენციის შესახებ.

ბერლინი. 6 ივლისი. „ნიუ-იორკ უორლდ“-ის ცნობით, შეერთებული შტატების სამხედრო დეპარტამენტს განზრახული აქვს სთხოვოს კონგრესს გადასდოს 60 მილ. დოლარი საჰაერო ფლოტის გაძლიერებლად. არმიის ბიუჯეტი მომავალი წლისათვის ორჯერ აღემატება მიმდინარე წლის ბიუჯეტს.

წითელი ქრონიკა

რუსეთი

რუსეთის განყოფილება ფინეთის გამოფენაზე.

ჰელსინგფორსი. 4 ივლისი. რუსეთის განყოფილება ჰელსინგფორსის ბაზრობა-გამოფენაზე, რომელიც ჩრდილოეთ-დასავლეთის სავაჭრო პალატის მიერ არის მოწყობილი, ყოველდღე 1.000 მეტ მნახველს იზიდავს. გახსნის დღეს განყოფილება ინახულა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვენოლამ და მთავრობის სხვა წევრებმა.

საქმე რუსეთის ობლიგაციების შესახებ ამერიკის სასამართლოში

ნიუ-იორკი. 4 ივლისი. ამერიკის სასამართლოში ირჩეოდა ამერიკელი მოქალაქის საქმე, რომელიც მოითხოვდა „ტრესტ-კომპანიისათვის“ იმ ფულების გადახდევინებას, რომელიც მან ამ კომპანიის ბრძანებით 1916 წელში დახარჯა რუსეთის ობლიგაციების ყიდვისათვის, მოპასუხის განცხადების თანახმად, ნაყიდი ობლიგაციები იმყოფებოდა პეტროგრადის საერთაშორისო ბანკის ხელში, რომელიც ნაციონალიზაციის წესით ჩამორთმეულია საბჭოთა მთავრობის მიერ. რუსეთთან დამოკიდებულების შეწყვეტის გამო, საქმის გარჩევა გადადებული იყო 1918 წლიდან. მომჩივანმა მიმართა უმაღლეს სასამართლოს საქმის დაუყოვნებლივი გარჩევის შესახებ. სასამართლომ მომჩივანს ამაში უარი უთხრა და საქმის გარჩევა დანიშნული იქნება არა უადრეს 1 ნოემბრისა.

სტარკის მიერ რუსეთის გემების გაყიდვის გარშემო.

ნიუ-იორკი. 4 ივლისი. საბჭოთა მთავრობის იურის კონსულტი რეხტი გამოვიდა ფილიპპის სასამართლოში სტარკის მიერ ვლადივოსტოკიდან წაყვანილ გემების გაყიდვის საქმის შესახებ. ეს საქმე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იაპონიის მთავრობაში, რომელმაც თავის ფილიპპის ელჩს მიანდო თვალყურის დევნება საქმის მსვლელობისათვის.

პურის სესხი.

როსტოვი. 4 ივლისი. პურის სესხზე გაძლიერებულ მოთხოვნილების გამო ყუბანში, საოლქო ეკონომიურმა თათბირმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას ცენტრის წინაშე ყუბანისათვის 4 მილ. ფუთის ობლიგაციების დამატებით მიცემის შესახებ.

ესერების პარტიის ლიკვიდაცია.

სამარა. 4 ივლისი. 5 ივლისს, ესერების პარტიის უბრალო წევრების ჯგუფის ინიციატივით. სამარაში იხსნება საერთო-საქალაქო კონფერენცია სამარის გუბერნიაში ესერების პარტიის ლიკვიდაციის საკითხის შესახებ.

საჰაერო ფლოტი.

რიბინსკი. 4 ივლისი. პირველიდან 7 ივლისამდი რიბინსკში ტარდება საჰაერო ფლოტის კვირეული. ჯერჯერობით შეგროვილია 250,000 მანეთი.

დონის როსტოვი. 4 ივლისი. როსტოვში მუშებისა და მოსამსახურეების მასიური ჩაწერა სწარმოებს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში. ქალაქის საბჭომ დაადგინა ააშენოს როსტოვის მშრომელთა ხარჯზე ერთი ჰაეროპლანი.

რუსეთ-გერმანიის ამხანაგობა „დერუტრა“.

მოსკოვი. 4 ივლისი. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ხელშეკრულება რუსეთ-გერმანიის ამხანაგობის „დერუტრას“ შესახებ, რომელიც მოსკოვსა და პეტროგრადში სხნის მოგზაურობის ბიუროს, როგორც საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის, ისე საზღვარ-გარეთის ტერიტორიაზე მოგზაურობის გაადვილების მიზნით.

ლუდის ქარხნების ექსპლოატაცია.

მოსკოვი. 4 ივლისი. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ხარკოვის საგუბერნიო სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელშეკრულება ესტონეთის მოქალაქე ოკმანთან ადგილობრივ ლუდის მხარშველი ქარხნების ექსპლოატაციის შესახებ.

საამშენებლო კოდექსი.

მოსკოვი. 4 ივლისი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ამთავრებს ახალ საამშენებლო კოდექსის დამუშავებას.

საზღვარ-გარეთელი პასპორტები.

მოსკოვი. 5 ივლისი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გაამარტივა საზღვარ-გარეთელი პასპორტების მიღების წესი, მიღებისათვის საჭირო დრო შემცირებულია 5 დღემდის.

სრულიად რუსეთის რექტორთა თათბირი.

მოსკოვი. 5 ივლისი. 3 ივლისს გაიხსნა სრულიად რუსეთის რექტორთა თათბირი 84 უმაღლეს სასწავლებლების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ყრილობამ აღნიშნა უმაღლეს სასწავლებლების მძიმე მატერიალური მდგომარეობა და გამოჰყო განსაკუთრებული დელეგაცია მოხსენების გასაკეთებლად ამის შესახებ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კამენევისათვის.

რ. ს. ფ. ს. რ. საპროტესტო ნოტა სამხრეთ-სლავიას.

მოსკოვი. 5 ივლისი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა პროტესტით მიმართა სამხრეთ-სლავიის მთავრობას იმის შესახებ, რომ ვრანგელი ჰყიდის რუსეთიდან გაქცევის დროს წაღებულ პეტროგრადის დამხმარე კასის ინვენტარს, რომელიც ნაწილობრივ სახელმწიფო და ნაწილობრივ კერძო პირთა ქონებისაგან შესდგება. ამ ქონების ნაწილი, რომელიც ამ ჟამად კატარროში იმყოფება, გაყიდულია ვრანგელის მიერ თავისი პირადი ხარჯების დასაკმაყოფილებლად. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი მოითხოვს სამხრეთ-სლავიისაგან, დარჩენილ ქონების დაცვას და მისი რუსეთის მთავრობისათვის გადაცემას.

ს. ს. რ. კ. ცაკის სესია.

მოსკოვი. 5 ივლისი. 6 ივლისს გაიხსნა ს. ს. რ. კ. ცაკის სხდომა.

ამხ. კრასინი.

მოსკოვი. 6 ივნისი. მოსკოვს დაბრუნდა ლონდონიდან საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. კრასინი.

ამხ. კრასინი განთავისუფლებულია რ. ს. ფ. ს. რ. რწმუნებულის და აგრეთვე სავაჭრო წარმომადგენელის თანამდებობიდან და რჩება საგარეო ვაჭრობის კომისრად.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის სესია

ვოლხოვის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის საკითხი

მოსკოვი. 5 ივლისი. სრულიად რუსეთის ცაკის სესიის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. გრაფტიოს მოხსენება ვოლხოვის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის ასაგებათ მუშაობის შესახებ. ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აგება უნდა დასრულებულიყო 1924 წლის ნოემბერში, მაგრამ მუშაობის დასრულება დაიგვიანებს სამი თვით. 7 თვეა გრძელდება საუწყებათაშორისო „ვოლოკიტა“ საზღვარ გარეთ სპეციალური ტიპის დიდი გენერატორების დაკვეთის საკითხის გარშემო, რაც თავის მხრივ აგვიანებს სადგურისათვის საჭირო ტეხნიკური ნაწილების დაკვეთას. ვინაიდან მასალებზე ფასები გაიზარდა, ამხ. გრაფტიო მოითხოვს დამატებითი კრედიტის გაღებას მუშაობის დასასრულებლათ. საჭირო თანხების თავის დროზე არ მიცემა დაამბრკოლებს მუშაობას და გამოიწვევს ზედმეტ ხარჯებს. კრედიტის მიცემის წინააღმდეგ გაილაშქრა ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. ვლადიმიროვმა, რომელმაც განაცხადა, რომ სახელმწიფოს აქვს უფრო სასწრაფო და აუცილებელი საჭიროებები, ვიდრე ვოლხოვის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აგება. ამხ. ვლადიმიროვს პასუხი გასცა ამხ. კალინინმა, რომელმაც აღნიშნა თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ვოლხოვის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურს სახელმწიფო თვალსაზრისით. სადგურის აშენების დასრულების შემდეგ 12.000.000 ფუთით შემცირდება სათბობი მასალის საჭიროება, სახელმწიფოს აღარ დასჭირდება ყოველწლიურათ ინგლისის ნახშირის შესაძენათ ოთხი მილიონი ოქროს მანეთის დახარჯვა. ამხ. ვლადიმიროვის წინადადება სადგურის ასაგებათ საჭირო თანხების შემცირების და სამაგიეროთ განათლების საქმისათვის კრედიტების გადიდების შესახებ, სრულიად ამახინჯებს პერსპექტივებს. „სახალხო განათლება ეყრდნობა მატერიალურ საფუძვლებს. ამიტომ თუ ჩვენ გვსურს სახალხო განათლების საქმის უფრო უკეთესად მოწყობა, უნდა გავიძროთ უკანასკნელი პერანგი და დავამთავროთ ვოლხოვის ჰიდრო-ელექტრონული სადგური,“— სთქვა დასასრულ ამხ. კალინინმა.

ამხ. კალინინის წინადადებით სესიამ თითქმის ერთხმად დაადასტურა წინა სესიების დადგენილება ვოლხოვის ელექტრო-სადგურის ასაგებათ საჭირო თანხების განსაკუთრებული წესით პირველ რიგში გაღების შესახებ; ცაკის პრეზიდიუმს დაევალა შეადგინოს განსაკუთრებული კომისია სადგურის აგების მუშაობისათვის თვალყურის სადევნებლად.

ტულას საგუბერნიო აღმასკომის მოხსენება.

ტულას საგუბერნიო აღმასკომის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მატვეევი, რომელმაც აღნიშნა, რომ საგუბერნიო აღმასკომმა საგრძნობ დადებით შედეგებს მიაღწია სოფლის მეურნეობის აღდგენის, მრეწველობის, ვაჭრობის და ადგილობრივი ბიუჯეტის მოწესრიგების საქმებით.

სატყეო კოდექსი.

დასასრულ სესიამ მიიღო სატყეო კოდექსი.

ტიხონის ახალი მოწოდება

მოსკოვი. 6 ივლისი. ტიხონმა გამოუშვა ახალი მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს სხვადასხვა განმაახლებელთა ჯგუფების და აგრეთვე სექტანტების შეტევას მართლმადიდებელ ეკლესიაზე და დასძენს, რომ რომის პაპას სურს დანერგოს მართლმადიდებელ ეკლესიაში კათოლიზმი, **რისთვისაც პოლონეთის ხელისუფლებების დახმარებით პოლონეთის ტერიტორიაზე იხურება მართლმადიდებელთა ტაძრები და მათ კოსტელებათ აქცევენ.**

ეხება რა იმ მსხვერპლებს, რომელნიც შედეგად მოჰყვა მის ანტი-საბჭოთა პოლიტიკას, ტიხონი ხედავს მათში იმ ბოროტ ადამიანებს, რომელნიც აქეზებდენ მას ასეთ მოქმედებაზე, ამ ხალხს უნდოდა მისი გამოყენება, როგორც ეკლესიის მეთაურის, საბჭოთა ხელისუფლების ჩამოსაგდებათ; **გრძნობს რა თავის დანაშაულს ხალხისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე,** ტიხონს სურს, რომ ასევე მოიქცენ ისინი, ვინც დაივიწყა მოძღვარის მოვალეობა და მშრომელი ხალხის მტრებს—მონარქისტებსა და თეთრ-გვარდიელებს შეურთდა.

ეხება რა კიევის მიტროპოლიტის ანტონ ხრაპოვიცკის საზღვარ-გარეთ მოღვაწეობას და აგრეთვე კარლოვიცის საეკლესიო ყრილობის სხვა მონაწილეთ, ტიხონი აცხადებს, რომ თუ ისინი არ შესწყვეტენ თავის მონარქიულ მუშაობას, არ დაწყნარდებიან და არ მოინანიებენ, მაშინ აუცილებელი იქნება მათი მოსკოვში გამოწვევა საეკლესიო სასამართლოსათვის პასუხის გასაცემათ; ამისათვის კი საჭირო იქნება ეთხოვოს მთავრობას ნება დართოს მათ ჩამოვიდენ რუსეთში.

ტიხონის მოწოდების გამო

მოსკოვი. 7 ივლისი. უმაღლესმა საეკლესიო საბჭომ მიმართა რუსეთის მართლმადიდებელ ხალხს ვრცელი მოწოდებით ტიხონის უკანასკნელი გამოსვლების გამო. მოწოდებაში ჩამოთვლილია ტიხონის ყველა დანაშაულობანი რუსეთის ხალხის წინააღმდეგ. **სახელმწიფოს შენების მძიმე მომენტში, როდესაც საშიშროება ემუქრებოდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობას, ტიხონი აჯანყებას აწყობდა მის წინააღმდეგ და მოუწოდებდა ხალხს ბუნტისაკენ.** მისი მოწოდებებით მართლმადიდებელი ეკლესია ჩაბმული იქნა სამოქალაქო ომში, ასეული ათასი მართლმადიდებელი ხალხი დაიღუპენ მისი ბრძანებების ასრულების დროს. როდესაც ტიხონი ხელმძღვანელობდა ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორების დეკრეტის საწინააღმდეგო მოძრაობას, მოხდა 1.414 სისხლის მღვრელი შეტაკება, მხოლოდ ერთ 1922 წელს ტიხონის მოწოდების სისრულეში მოყვანისათვის დამშეულთათვის დახმარების წინააღმდეგობის გამო დახვრეტილ იქნა 45 კაცი. მათ რიცხვში პეტროგრადის მიტროპოლიტი ვენიამინი, ციხეში დაპატიმრება მიესაჯათ 250 კაცს. ეხლა იგრძნო რა ანგარიშების გასწორების სასტიკი დღე მისი სახელმწიფოებრივი დანაშაულისათვის, სცდილობს რა შეინარჩუნოს თავისი ძველი საეკლესიო მდგომარეობა, ტიხონმა მოინანია ყველა თავისი დანაშაულობანი. რჩება რა წინანდებურად სამართლის ქვეშ, რომელიც ემუქრება მას სასჯელის უმაღლესი ზომით, ღირსება ახდილი შეუდგა ის ღვთის მსახურებას და ამით საფუძველი ჩაუყარა საეკლესიო რასკოლს. ტიხონს სურს დაამტკიცოს, რომ ის არ არის ისეთი კონტრ-რევოლიუციონერი, როგორც საეკლესიო ყრილობამ აღიარა. არავინ არ დაუჯერებს მას, როდესაც მას ალაპარაკებს შიში უმაღლესი სასჯელის ზომის წინაშე. სისხლით გასვრილი ხელებით, სიამაყით და თავის განდიდებით აღტკინებული ტიხონი ხელახლა უწოდებს თავის თავს პატრიარქს.

მოწოდება აღნიშნავს, რომ ტიხონის წყალობით მრავალი მისი გამგონე მართლმადიდებელი იქმნა დახვრეტილი, ციხეში ჩაყრილი, გადასახლებული და განადგურებული. ასეთივე ბედი მოელისთ იმათაც, ვინც გაჰყვება უნებისყოფო დამნაშავე ბერიკაცსო.

მოწოდებას ხელს აწერენ ეპისკოპოსი გიორგი დობრონრავოვი, კრასნიცკი და სხვები.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გაფიცვები ინგლისში.

მემადაროები.

ბერლინი. 6 ივლისი. ლონდონიდან მიღებული ცნობით, უაი-ხევონში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებანი მემადაროებსა და პოლიციას შორის. დაჭრილია 50 მემადარო და 20 პოლიციელი.

რკინის გზელები.

ბერლინი. 5 აპრილი. მდგომარეობა რკინისგზებზე რთულდება. საკითხი სამუშაო ხელფასის შესახებ რკინისგზელებმა გადასცეს საარბიტრაჟო სასამართლოს.

გემის შესაკეთებელი სახელოსნოების მუშები.

ლონდონი. 6 აპრილი. გემის შესაკეთებელი სახელოსნოების მუშათა გაფიცვა ვრცელდება. ამ ჟამად გაფიცულია 41,000 კაცი; თვით ლონდონში გაფიცულია 18,000 კაცი ტრანსპორტელების კავშირის გამგეობა და მინერალური მუშათა კავშირი, რომელთაც ეკუთვნიან გაფიცულები, აცხადებენ, რომ საგაფიცვო თანხები ამ გაფიცვისათვის, რომელიც ხდება მათი ნებართვის გარეშე, არ იქნება გადახდილი. ტრანსპორტელების კავშირის გამგეობა მოუწოდებს რეზოლიუციაში მუშებს დაუბრუნდენ ორშაბათს მუშაობას. ამ რეზოლიუციას უკმაყოფილებით შეხვდენ მუშები; კავშირის ლიდერები ამ ჟამად უძლური არიან გაფიცვის წინაშე, ყოველივე იმედებს ისინი ამყარებენ იმაზე, რომ ისინი დახმარებას ვერსაიდან ვერ მიიღებენ, ხოლო სიძვირე ამ რაიონებში იზრდება. გაფიცვა აფერხებს ლონდონისათვის, პურის დატვირთვა შეწყდება; ფასები აღნიშნულ პროდუქტებზე იზრდება.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

კურსები მასწავლებელთათვის

ბაქო. 5 ივლისი. ივნისში აზერბეიჯანში მუშაობა დაიწყო საზაფხულო კურსებმა 1-ლი საფეხურის ყველა ჯგუფების სკოლების მასწავლებელთათვის, განსაკუთრებით კი თურქ მასწავლებელთათვის. პირველი საფეხურის პირველ სამ ჯგუფის სკოლების მასწავლებელთათვის (ყოფილი ერთ-კლასიანი და ორ-კლასიანი სკოლები) კურსები გახსნილია ბაქოში, ელენდორფში, კუსარაში, ნუხაში და შუშაში; მეოთხე და მეხუთე ჯგუფის მასწავლებელთათვის ბაქოში გახსნილია უმაღლესი ტიპის კურსები. ელენდორფში გახსნილია კურსები პირველი სამი ჯგუფის სკოლების სომეხ მასწავლებელთათვის. ბაქოს დაბალ ტიპის კურსებზე მიღებულია თურქი მასწავლებლები სომხეთიდან და ნახიჩევანის მხარიდან. ჩამოთვლილ კურსებს გარდა სახალხო განათლების ბაქოს განყოფილების მიერ გახსნილია კურსები ქალაქ ბაქოსა, მისი რაიონებისა და მაზრის მასწავლებელთათვის. აქ გადიან კურსს 1-ლი საფეხურის სკოლების ყველა ჯგუფების მასწავლებლები. ყველა ჩამოთვლილ კურსებზე სწავლობენ: 800 კურსანტი, რომელთაგან 700 თურქია, დანარჩენი სომხები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. ლექტორებად მოწვეულნი არიან აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის საუკეთესო პედაგოგები და ზოგიერთი პროფესორები. საერთო განათლების საგნებს გარდა, კურსებზე ასწავლიან პედაგოგიკას, მეთოდიკას და ახალ თურქულ ალფავიტს.

უმუშევრობასთან ბრძოლა

ბაქო. 5 ივლისი. ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილე სპეციალური მოხსენებით შევიდა აზერბეიჯანის ცენტრალურ აღმასკომში უმუშევართა მძიმე მდგომარეობის შესახებ და მოითხოვს 5,00 ოქროს მანეთის გადადებას უმუშევრობასთან ბრძოლის საწარმოებლად. „საბჭოთა რუსეთმა, ნათქვამია მოხსენებაში, რომელმაც 1921 წელში კაცობრიობის ისტორიაში არ ნახული შიმშილი განიცადა, ჯერ კიდევ აქამდის ვერ მოახერხა მისი შედეგებისაგან განთავისუფლება და ისინი ჯერ კიდევ დიდხანს იქნებიან საგრძნობი. მშრომელი გლეხობის ასეული ათასები დაიძრენ სხვა და სხვა ადგილებისაკენ, რომელნიც ნაკლებ დაზარალდენ შიმშილობისაგან, რამდენიმე ათასი ჩამოვიდა აზერბეიჯანშიც. ბაქოს შრომის ბირჟის ცნობების მიხედვით, ა. წ. იანვარში უმუშევართა რიცხვი შეადგენდა 15 ათას 708 კაცს, თებერვალში 16,325, მარტში—17,242. მუშა ხელის მოთხოვნილება უმნიშვნელოა: იანვარში 15 პროც., თებერვალში 13 პროც., მარტში 17 პროც. უმუშევრობა იზრდება; არ არის არავითარი იმედი სამუშაოს მისაღებად, რისთვისაც უმუშევართა მდგომარეობა მეტისმეტად მძიმეა. უმუშევართა მხოლოდ მცირე პროცენტი, განსაკუთრებით კვალიფიციური, იღებს სოციალურ დაზღვევის დახმარებას, დანარჩენები სრულებით არაფრით არ არიან უზრუნველყოფილნი.

სასურსათო გადასახადის კამპანია

ბაქო. 5 ივლ. სასურსათო გადასახადის განსაკუთრებულმა კომისიამ დაადგინა: გაანთავისუფლოს სასურსათო გადასახადიდან აზერბეიჯანის აგრონომიული დაწესებულებები; წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს თავის დროზე მოაწყოს შერეული ფორმის აპარატი გადასახადის შესაგროვებლად; ფულის ეკვივალენტები უნდა დაწესდეს ყოველი თვის 1-ლი და 15 რიცხვისათვის; მიიღო რა მხედველობაში, რომ, პირველი, ფულის ეკვივალენტები დაწესებული იქნება ორჯერ თვეში, მეორე, ის, რომ მათ შესახებ რეგულიარულად და თავის დროზე უნდა ეცნობოს მაზრებს, კომისიამ აუცილებლად სცნო დეკრეტის მიერ დაწესებული ფულის ეკვივალენტების დამტკიცების წესი შეცვლილ იქნეს იმ სახით, რომ ფულის ეკვივალენტები დამტკიცებულ იქნეს არა ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების მიერ, არამედ აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ. ამის გამო გადაწყვეტილია ეთხოვოს აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს შესაფერი მიმართვით შევიდეს ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატებში.

განათლების ერთიანი ორგანო

ბაქო. 5 ივლ. დამთავრდა სახალხო განათლების განყოფილების (აზერბეიჯანის ნავთის მთავარ სამმართველოსი) და სახალხო განათლების ბაქოს განყოფილების და მათ მრავალრიცხოვან დაწესებულებების შეერთება. ეხლა ბაქოში მუშაობს განათლების ერთიანი ორგანო, სახალხო განათლების ბაქოს განყოფილება, რომლის განკარგულებაშიც არის 137 პირველი და მეორე საფეხურის სკოლები, მოწაფეთა საერთო რიცხვით 37,413 კაცით. 1913 წელში იყო სულ 40 სკოლა, რომელნიც 24,079 მოსწავლეს ემსახურებოდენ.

ამას გარდა სახალხო განათლების ბაქოს განყოფილების გამგებლობაში იმყოფება კიდევ 34 ბიბლიოთეკა, ასზე მეტი სკოლა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, 40 საბავშო სახლი და 30 საბავშო ბაღი.

ბაქოს ბაზრობის დახურვა

ბაქო. 6 ივლ. ივლისის 5-ს, სადამოს 7 საათზე მოხდა ბაქოს ბაზრობის დაკეტვა. დახურვას დაესწრენ ბაზრობის მონაწილენი: სპარსეთის სოვდაგრები, წარმომადგენელნი ადგილობრივი ხელისუფლებისა, ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, ბაზრობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ილიუშინმა მოკლე სიტყვით აღნიშნა ბაქოს მეორე ბაზრობის ნაყოფიერი მუშაობა. მისი საქონლისა და კომერციული ბრუნვა გაცილებით უფრო ბარაქიანი აღმოჩნდა შარშანდელ ბაზრობასთან შედარებით. ამხ.

ა. ი. ფარნიევის სიტყვა

წარმოთქმული თბილისის პირველი რაიონის ყოფილ მენშევიკების კონფერენციაზე

საკითხის დაყენება

ამხანაგებო, კითხვა ასე თუ ისე ეხება საქართველოში წინეთ ლეგალურად და ახლა არალეგალურათ არსებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან გამოსვლას და აგრეთვე იმ განცხადებას, რომელიც ამ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა.

როდესაც ასე თუ ისე წევრი ამა თუ იმ პოლიტიკურ ოჯახისა სტოვებს ამ საერთო ოჯახს, ის ტოტებიდან კი არ იწყებს, არამედ იწყებს ძირიდან. ვინაიდან სოციალ-დემოკრატიული პარტია არის წევრი მეორე ინტერნაციონალისა, ამიტომ, მე მგონია, უმთავრესად ლაპარაკი უნდა იყოს ამ საერთო, აქამდის, ყოველ შემთხვევაში, ცნობილ სოციალ-დემოკრატიულ ინტერნაციონალიდან გამოსვლის შესახებ. თუ ასე ფართოთ დავსვამთ საკითხს, ეს უფრო მიზანშეწონილი იქნება, ვიდრე, კერძოთ ამ პარტიიდან, ან და ამ ინტერნაციონალის ამა თუ იმ ჯგუფიდან გამოსვლის შესახებ. თუ ასე ფართოთ დავსვამთ საკითხს, მე პირადათ დარწმუნებული ვარ იმაში, რომ განცხადება მეორე ინტერნაციონალის ამა თუ იმ პარტიისა ან მისი ცენტრალური კომიტეტისა არც ისე დიდათ ყურადსაღები იქნება. მაშასადამე, მე არ ვჩერდები მარტო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან გამოსვლის საკითხზე, არამედ უფრო შორს მივდივარ და იქითკენ ვაქცევ თქვენ ყურადღებას, გამოფხიზლებულო პროლეტარებო!

მეორე ინტერნაციონალის ტაქტიკა და მეთოდები.

ჩვენ, მუშათა კლასს სავალდებულოთ მიგვაჩნდა ძველი ტაქტიკა ბრძოლისა და მისი მეთოდები, რომლებსაც ყველა ჩვენგანი აწარმოებდა და რომლებიც მიზნად ქონდა დასახული მეორე ინტერნაციონალს.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ რევოლიუციის მამოძრავებელი ძალა არის სხვა და სხვა კლასები და მათი, ამ კლასების, შეთანხმებული ბრძოლა თუ არ იქნებოდა, ჩვენ ვერ გაუმკლავდებოდით ისე თვითმპყრობელობას. ეს იყო მთავარი აზრი მეორე ინტერნაციონალის ბრძოლის მეთოდებისა. ამაზე ვიზრდებოდით ჩვენ და დღესაც შეიძლება ჩვენში ბევრია ისეთი, რომელიც ამ მეთოდებს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე სხვა მეთოდებს, რომელიც 1917 წ. უფრო მკაფიოდ, როგორც რუსები იტყვიან „ვიპუკლო“ გამოსახა მესამე ინტერნაციონალმა. მაშასადამე ბრძოლის ის მეთოდები, რომლებმაც აქამდის მოგვიყვანეს, და რომლებიც გვეგონა საუკეთესო საშუალება, ტაქტიკა, რომელიც მიგვიყვანდა სოციალისტურ წესწყობილების დამყარებამდე იყო ორიენტაცია დემოკრატიზმზე. ჩვენ ვფიქრობდით, თუ დღეს იქნება დანგრეული თვითმპყრობელობა და მის მაგიერ დამყარებული დემოკრატიული წესწყობილება, მაშინ მოგვეცემა საშუალება მოვემზადოთ სოციალისტურ წესწყობილებისათვის. ეს იყო მთავარი მოსაზრება, რომელიც მომხსენებელს ალბათ უნებლიეთ გამორჩა.

სხვათა შორის აქ იმყოფება ერთი საუკეთესო პოლიტიკოსი და შემმუშავებელი ამ მემარჯვენე მეთოდების და ტაქტიკისა—ეს არის ამხ. მარტინოვი.

რა მოგვცა ამ ტაქტიკამ.

რა თქმა უნდა ჩვენ ამ რევოლიუციის მამოძრავებელ რიგების აწონდაწონაში, შესწავლაში ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ, თითქმის მთელი სიცოცხლე **ამ სხვისი საქმის შესწავლას და კეთებას შევალიეთ და ბოლოს და ბოლოს ხელში არაფერი შეგვრჩა.** მაშასადამე, ბრძოლის იმ მეთოდებში რომელიც ჩვენ სწორათ მიგვაჩნდა დღეს ეჭვი გვეპარება. ჩვენ ამაზე უნდა ვილაპარაკოთ. და თუ ყველა აქ მყოფი დარწმუნდა იმაში, რომ ის ტაქტიკა, ის შეხედულება რევოლიუციაზე, რომელიც იყო გამეფებული დღემდის და დღესაც არის გავრცელებული ასე თუ ისე ევროპის მუშათა კლასის მნიშვნელოვან ნაწილში—შემცდარია; თუ ჩვენ, გამოსული რევოლიუციონურ მარქსისტულ შეხედულებიდან, დავრწმუნდით, რომ დემოკრატია არ არის სანდო მოკავშირე ჩვენ ბრძოლაში და თუ ამგვარათ მოხდა გარდატეხა, ევოლიუცია ჩვენ გონებაში და ტვინში,= მაშინ შეგვიძლია გულგრილათ შევხედოთ სოციალ-დემოკრატთა ცენტრალურ კომიტეტის განცხადებას იმაზე, რომ ამ პარტიიდან გამოსულნი მოღალატეები არიან.

„მოღალატეები“.

ამხ. გნოევოიმ თავის მოხსენების ბოლოში ასეთი დასკვნა გააკეთა: მე ვიბრძოდი მუშათა კლასის კეთილდღეობისათვის და თუ მუშათა კლასის კეთილდღეობას საშიშროება მოელის, იქნება ეს მენშევიკების თუ ბოლშევიკების მხრივ, ჩემთვის სულ ერთია, მე ორივეს წინააღმდეგი ვიქნები. მაშასადამე თუ ასე მიუდგებით საკითხს, აშკარაზე უაშკარესია, რომ არავითარ ღალატს ან სირცხვილს არ წარმოადგენს თუ ამა თუ იმ ჯგუფის, ან კაცის აზროვნებაში მოხდება გარდატეხა.

უნდა მივაქციოთ ყურადღება შემდეგ გარემოებას. ჯავრი მოგვდის, რატომ გვიწოდა მენშევიკური პარტიის ცკამ მოღალატეების სახელი, მაგრამ ჩვენ ხომ ნამდვილათ ჩვენი საქმის მოღალატე არა ვართ; მაშასადამე არც ჯავრი უნდა მოგვდიოდეს. და იმ პიროვნებას, რომელიც წინათ იზიარებდა მათი ე. ი. მენშევიკების ბრძოლის მეთოდებს, ეხლა კი, როდესაც მისი ცოდნა მომწიფდა, მის აზროვნებაში მოხდა გარდატეხა და ზურგი შეაქცია ძველ შეხედულებას, გულწრფელად და შეგნებულათ გადის პარტიიდან. ასეთ პიროვნებას ჯავრიც არ უნდა მოსდიოდეს. მე ასე ვმსჯელობ.

ჩვენ თუ გვაინტერესებს ისტორია მუშათა მოძრაობისა, სოციალისტური პარტიების შეხედულებები, მათი სხვადასხვაობა და სხვადასხვა მიმდინარეობანი, მაშინ მით უმეტეს ამ ბრალდებას ნაკლები ყურადღება უნდა მივაქციოთ და მეტი ენერგიით უნდა შეუდგეთ იმ საერთო მუშაობას, რომელიც ამხანაგმა კომუნისტებმა გაბედეს.

მაგრამ სამწუხაროთ არიან ისეთი კომუნისტებიც, რომელნიც ჯერ არ არიან კიდევ მომწიფებულნი. მაგალითად საბჭოთა სისტემის კრიტიკულათ განხილვა, საბჭოთა ხელისუფლების ან კომუნისტური პარტიის მოქმედების კრიტიკულათ განხილვა სამწუხაროთ ზოგიერთებს მიაჩნიათ წინააღმდეგობათ და ღალატათ საბჭოთა სისტემისა და ისე აქვთ წარმოდგენილი საქმე, თითქოს ეს არის ბრძოლა კომუნისტური პარტიის მიზნების წინააღმდეგ. მაგრამ ასეთი კრიტიკა არ უნდა გვაშინებდეს.

მე ვლაპარაკობ, თუ ვინმე გულწრფელათ და შეგნებულათ იწუნებს წარსულ ტაქტიკას, მას შეუძლია იგი მიატოვოს.

ხშირად ვხვდებით ისეთ მუშებს, რომელნიც არიან მენშევიკურ პარტიის გარეშე, მაგრამ მათ ეს არ გამოუცხადებიათ გაზეთში. აი მაგალითად მე პირადათ არ გამომიცხადებია გაზეთში, მაგრამ მე პარტიის გარეშე ვარ. რატომ არ გამოვაცხადე, ამას არ გეტყვით.

რომ ვსთქვა, შეიძლება ზოგიერთმა თქვენთაგანმა იფიქროს, ის პირფერობსო, რომ ეს ასე არ იყოს—უკეთესია კაცმა გულწრფელად სთქვას რაც გულში უდევს. ზედმეტი ლაპარაკი მათთვის მიმინდვია, ვინც ვიწროთ მსჯელობს. მაშასადამე ჩვენ უმთავრესი ხაზი უნდა გაუსვათ იმას, რომ მეორე ინტერნაციონალის ბრძოლის მეთოდები არის ბურჟუაზიის გვერდით ამოდგომა. მუშა-პროლეტარს და მით უმეტეს კომუნისტს არ შეიძლება ეს არ ებადებოდეს თავის აზროვნებაში.

საქართველოს მუშები და მენშევიზმი.

ეს არ შეიძლება ადამიანმა მარტო პროპაგანდით შეითვისოს. აქ არის ეკონომიური საფუძვლები.

ჩვენში არიან ნახევრათ პროლეტარები, რომელნიც ცოტათ თუ ბევრათ მიბმულები არიან კერძო საკუთრებაზე. სამწუხაროთ საქართველოში უმეტესი ნაწილი მუშებისა ასეთ ელემენტს წარმოადგენს, და **ამიტომ საკვირველიც არ არის, თუ ეს უმეტესი ნაწილი საქართველოში მუშებისა დარჩა მენშევიკურ მიმართულებისა;** და მას უფრო მიზანშეწონილათ მიაჩნია განხორციელება დემოკრატიულ რესპუბლიკისა, ვიდრე დამყარება პროლეტარულ დიქტატურისა. მთავარი მიზეზი იმაში არის, რომ სწორედ ამას უწევდა ანგარიშს მენშევიკური მიმართულება და მისი ერთი ისეთი ხელმძღვანელთაგანიც, როგორიც არის ამხ. მარტინოვი.

მე აქ მინდა ერთი რამ გავიმეორო, **რომ ეს ხალხი, ეს ხელმძღვანელები სოციალ-დემოკრატიისა, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვა, განგებ მალავდენ რევოლიუციონურ მარქსიზმს და არ უხსნიდენ მუშათა კლასს იმ სწორ ხაზს, რომელიც მისთვის აუცილებელი იყო.** აი მთავარი დანაშაულობა ამ ხელმძღვანელებისა ამაში გამოიხატება. მაგრამ ისინი თავს გაიმართლებენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამხ. მარტინოვიც შეეცდება თავის გამართლებას

ამხ. გნოევოიმ სთქვა, რომ 1917 წლამდე ის ტაქტიკა და შეხედულება, რომელსაც აწარმოებდა მენშევიკური პარტია, დღესაც მას უფრო სამართლიანად მიაჩნია. ალბათ მარტინოვიც ამას იტყვის. სხვათა შორის, ამხანაგებო, თქვენ გახსოვთ მისი წერილი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის 25 წლის თავზე, სადაც ამბობდა, რომ დიახ მენშევიკური ტაქტიკა უფრო მიზანშეწონილი იყო. მენშევიკები დაიწყებდენ კავშირების კეთებას, კოოპერატივებს, მუშათა საბჭოებს და ასეთებს, და შემდეგ კი ბოლშევიკები დაეპატრონებოდენ ხოლმე მას.

მაშასადამე, რა გამოდის? გამოდის, რომ ძველი შეხედულება ყოფილა უფრო მართალი და მიზანშეწონილი რუსეთში 1917 წლამდე, ჩვენში კი 1921 წლამდე. ეს შეხედულება ფსიხოლოგიურათ იყო დამყარებული და გამომდინარეობდა იქიდან, რომ ის სანახევროთ გამოხატავდა სურვილებს და მისწრაფებებს ამ ნახევრათ მუშებისა და წვრილი ბურჟუაზიისას, დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებით. ეხლა თუ ეს უცბათ და ერთბაშათ იცვლება და ხდება გადატრიალება მუშების აზროვნებაში, ეს იმიტომ, რომ მაშინ იყო მსჯელობა თეორიული და პრაქტიკულად არ იყო მეთოდები გარდა საფრანგეთის რევოლიუციით ნაჩვენებ მეთოდებისა. თითონ ჩვენი იდეოლოგები ასე გულწრფელათ არ ამჟღავნებდენ ამას. ამას ამოიკითხავთ ლენინის წერილში „სახელმწიფო და რევოლიუცია“. ამ იდეოლოგებთა შორის ამხანაგი მარტინოვი უფრო მემარჯვენეთ იდგა სოციალ-დემოკრატიულ პროგრამის შემუშავებაში. ბევრ თქვენგანს ემახსოვრება ამხ. ლენინისა და მისი ამხანაგების კამათი ამხ. მარტინოვის და მარტოვის წინააღმდეგ. რათ ვლაპარაკობ მე ამას. მეც ისეთივე მუშა ვარ, როგორც ამხ. გნაევოი და ბევრი თქვენგანი. და უნდა გითხრათ, რომ ბევრ თქვენგანს არ იამება, რომ სთქვას: მე ვიყავი მენშევიკურ პარტიაში, მის ბრძოლის მეთოდებს ვიზიარებდი და ახლა კი ყველაფერი ეს დასაწუნი გამოდგაო. ეს თითქმის დიდ სირცხვილათ მიაჩნიათ. აქ ხდება ის, რაც წინათ ხდებოდა. იყო წინათ სექტები, იყო განხეთქილება სარწმუნოებრივი, ტ გასულებს ეშინოდათ წყევა-კრულვისა, რომელსაც მას „სვიატეიში სოვეტი“ უგზავნიდა და ბევრს ამისი ეშინოდა. ან დიდმარხვის შაბათს დასწყევლიდენ და ბევრი ამისთვის თავსაც კი იკლავდა. **მაგრამ ამხანაგებო, ჩვენ ეს არ უნდა გვაშინებდეს.** პოლიტიკა სოციალისტური არც ისე იოლათ შესასწავლი და გასათვალისწინებელია და დღეს შეიძლება ბევრ მუშას გაუჭირდეს ეს, რადგანაც წერა-კითხვაც არ იციან. მხოლოდ ზოგი მათგანი ახერხებს საგელის და გვარის მოწერასაც თუ გინდათ წაკითხვაც შესძლებს. ასეთი დიდი თეორიის შეთვისება, შესწავლა, რასაკვირველია, ძნელია უსწავლელ და ცოტა ადვილათ ნასწავლი ხალხისათვის და ეს, რასაკვირველია არც გასაკვირველია. მაშასადამე სასირცხო არ არის, რომ მუშამ თავისი აზრი გულწრფელად გამოსთქვას, არ მოერიდოს არავის, არავითარ პარტიას, არავითარ მიმართულებას.

ხშირად არის ერთგვარი ძალმომრეობა. ბევრ თქვენგანს შეიძლება ეს არც კი ენახოს ასეთი ძალმომრეობა, ზოგს კი შეიძლება ძალმომრეობათ ეგონოს ის, როცა მასთან კომუნისტი მიდის და ეუბნება: ამხანაგო, შენსცდებოდი დღემდის, დაგიკარგია აუარებელი დრო და ენერგია, იდექ შემცდარ გზაზე. ახლა გამოერკვიეს მოდი და გვერდი აუხვიე ამ შემცდარ გზას. ეს რჩევა ბევრს ძალმომრეობა ჰგონია, რადგან კომუნისტები ძალა-უფლების სათავეში არიან და მართვა-გამგეობა მათ ხელშია. თქმა იმისა, რომ ჯერ ჩემ თავში ეს არ გადამუშავებულა, ჯერ ეს არ შემიგნიაო, ეშინიათ: ვაი თუ დამიჭირონო. ეს არის ერთგვარი ბურუსი, აჩრდილი გაუბედაობისა, და მგონია ამ ბურუსიდან უნდა გამოვიდეს ყოველი მუშა და გულწრფელად სთქვას: ვინაიდან მეორე ინტერნაციონალის ბრძოლის მეთოდები (თეორიულად თუ ვერ ვიცნობთ მათ, პრაქტიკულად ჩვენის თვალით დავინახეთ) ნამდვილი არ ყოფილა. ამისთვის ასეთ პოლიტიკურ ოჯახს ვტოვებთ და ასეთი საქციელის გაკიცხვა არაფრათ მიგვაჩნია.

და გულწრფელი ადამიანი, რომელსაც უყვარს მუშათა კლასი და მისი იდეები უსათუოთ ასე უნდა მოიქცეს. თუ არის რაიმე დასაწუნი კომუნისტურ პარტიის პრაქტიკულ ნაბიჯებში, ან მის პროგრამაში არის ისეთი რამ შეტანილი, რომელიც ეწინააღმდეგება პროლეტარიატის მიზნებს, თუ ვისმე ამისთანა საბუთები აქვს, ეს აშკარად უნდა სთქვას. თუ კი ასეთი რამ არ არსებობს, ესეც აშკარად უნდა ითქვას.

რაში დაგვარწმუნა ჩვენმა გამოცდილებამ.

ეხლა ალბათ ზოგიერთი თქვენგანი დაინტერესებულია; ეს კაცი ვინაა—ყოფილი დამფუძნებელ კრების წევრი, მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტის ყოფილი წევრი; ეს კაცი ხომ არ გაგიჟდა, ნუ თუ დღემდე გვატყუებდა, ან რაშია საქმე, ხომ არ შეეშინდა, რა მოხდა ამ კაცის თავში. შეიძლება სიგიჟეც მოსდისო.

მე პირადათ ჯერ ჩემს თავს არ ვამჩნევ სიგიჟეს. თუ მარტინოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარბიან მენშევიკურ პარტიიდან

თამბაქოს ქარხნის მუშები

ჩვენ, 2-რე რაიონის თამბაქოს რხნების და სასურსათო სახალხო მისარიატის ცენტრალურ საწყო- ს მუშებმა, რომელნიც გამოვედით ნშევიკურ პარტიიდან, ა. წ. 6 ივ- ისის კრებაზე განვიხილეთ მენშევი- ბის ცეკას წერილი და აღშფოთე- სა და ზიზღს უცხადებთ მენშევი- ურ მეთაურებს, რომელნიც ჩვენ მო- ალატეებათ და მუშათა კლასის ყიდველებათ გვთვლიან. არა, ბა- ონო მენშევიკ ცეკისტებო, ჩვენ არა რთ მუშათა კლასის გამყიდველები, თქვენ კი ბურჟუაზიის ლაქიები ხართ და ჩვენ მუშებს არ შეგვიძლია თქვენთან ერთი გზით სიარული. გზა მშვიდობისა თქვენ კაპიტალისტებისაკენ, ჩვენი გზა კი, ეს საბჭოთა გზაა პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით კომუნიზმისაკენ. გზები გაიყარნენ. ამიერიდან ჩვენ მუშები ვეღარ შეგხვდებით თქვენ.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას.

გაუმარჯოს კომინტერნს.

ძირს ბურჟუაზიის ლაქიები.

ტრანსპორტის მუშებისაგან

ჩვენ, სატრანსპორტო ეზოს და სა- ურსათო სახალხო კომისარიატის ავარ საწყობის მუშები, ვაცხადებთ ველთაოდ, რომ ვტოვებთ მენშე- ურ პარტიას, რომელიც სისტემა- ურათ ჰღალატობს რევოლიუციისა მუშათა კლასის ინტერესებს. აგ- ევე ვაღიარებთ, რომ ამიერიდან ვდგევართ კომუნისტური პარ- ის თვალსაზრისზე, რომელიც ნამდვილათ მოსარჩლეა მუშათა კლასისა. ვაცხადებთ სრულს ჩვენს ერთგულებას და მზათა ვართ დავიცვათ საბჭოთა ხელისუფლების ინტერესები, როგორც მთელი ქვეყნის პროლეტარიატის ერთად-ერთს ხელისუფლებას.

ჰიამბერაშვილი კოლა — 1903 წ.
ფალავა აკაკი — 1918—1920 წ.
ალაპოვი ა. — — 1918—1921 წ.
სულხანოვი ივანე 1905—1920 წ.

უშინი შეეხო იმ ხელის შემშლელ მებს, რომლებიც აფერხებდა ბა- ობის წარმატებას: ვალიუტაზე მო- ების ნაცვლად ჩერვონცებზე გა- და საქმე, ეკონომიური კრიზისი, ორც რუსეთის, ისე სპარსეთის რისა, ყველა ეს ძალიან აფერხე- ნ ბაზრობის წარმატებას. ამას ა დაემატოს ის გულგრილობა და ქრაობა ადგილობრივ სახელმწი- დაწესებულებებისა, რომელიც გა- ნეს მათ ბაზრობის საქმეში. ამხ. უშინმა იმედი გამოსთქვა, რომ ნდელი ბაზრობის ნაკლი მომა- წლის ბაზრობით შეივსება, რად- ფართე ასპარეზი იშლება ჩვე- ყნისა და მეზობელ ქვეყნების -მიცემო ურთიერთობისათვის. მწიფო ტრესტების წარმომად- მმა აღნიშნეს, რომ ბაზრობა ებით სწარმოებდა, მან ხელი ო რუსეთისა და აღმოსავლეთის ბის სავაჭრო დაახლოვებას. სა- თო სიტყვა წარმოსთქვა აზერ- ნის ვაჭრობა-მრეწველობის სა- კომისარმა ჰამიდ სულთანოვ- მელმაც აღნიშნა: ბაქოს ბაზ- დაგვანახვა სიძლიერე რუსეთის ბაზრისა, რომელიც დღეს უკვე წელში იმართება და ფართე ასპარეზზე გამოდის.

სომხეთი

სკოლის გარეშე ჯგუფები

ერევანი. 6 ივლ. სკოლის გარეშე ჯგუფების პირველი და მეორე საფეხურის სკოლების მოწაფეთა რიცხვი შეადგენს 1,797 კაცს. მიმდინარე წელში იხსნება დამატებითი მეცადინეობა 548 მოწაფეთათვის.

დაშნაკელების წარმომადგენლობათა ლიკვიდაცია

ერევანი. 6 ივლ. „ხორურდაინ აიასტან“-ი ბეჭდავს სტამბოლის გაზეთ „ვერჩინ ლურ“-ის ცნობას ყოფილ დაშნაკელების მთავრობის ყველა წარმომადგენლობათა ლიკვიდაციის შესახებ, გარდა პარიზისა. ახლო მომავალში გაუქმებული იქნება პარიზის წარმომადგენლობაც.

სასკოლო ექსკურსიები

ერევანი. 6 ივლ. ჩამოვიდა თბილისის ოვნანიანის და გაიანიანის ქალთა სასწავლებლის მოსწავლეთა ექსკურსია. ექსკურსანტები გულგაშლილათ იქნენ მიღებული აღმასკომის მიერ.

პარტიული ცხოვრება

გეგმიანი მუშაობა

რთ. კ.-პარტ. ტფ. კომიტეტის ა განყოფილება, ივლისის 10-ში ყველა უბნებში გეგმიან მუშა- დელეგატებთან.

ლი გეგმა ორ წყებათ იყოფა. ნაწილს მოჰყვება სათანადო ციები.

ა—საბჭოთა აღმშენებლობა,

მოხსენება პირველი

რა არის საბჭოები და მისი სექ-

მუნალური მეურნეობა.

ურსია.

ქი, ელექტრო სადგური, სასა- წყალსადენი, ავჭალის ჰიდრო- რო სადგური, ტრამვაი და მი- ფილებანი.

მოხსენება მეორე.

სახალხო განათლება.

ალური აღმზრდელობა.

მოხსენება მესამე.

დობისა და ბავშვთა მფარ-

ენა დედისა და ბავშვის

სულტაცია და ბაგა. დათვა- ბავშვთა სახლებისა და სა- ბლებისა კოჯორში. სამშობიარო თავშესაფარი, საავადმყოფო, ბაგები, ობსერვატორიები, განათლების სახლები და სხვ.

მეორე წყება—სამეურნეო.

მოხსენება პირველი.

ა) მრეწველობის მდგომარეობა საქართველოში გასაბჭოებამდე და საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ექსკურსია—დათვალიერება:

თამბაქოს ქარხნები, საფეიქროები, თუჯის ჩამომსხმელი, საბრეშუმო სადგურები, ზავოდები ტყავეულობისა, ყველის ქარხნები და სხვ.

მოხსენება მეორე.

ა) სასოფლო მეურნეობა.

ბ) საბჭოთა ხელისუფლების გადასახადთა პოლიტიკა.

გ. წარმოებათა და მომხმარებელი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციები.

ექსკურსიებით.

შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგური ს. ტაბახმელაში.

დათვალიერება: საბჭოთა მეურნეობისა სახელმწიფო ღვინის ტრესტის დაწესებულებათა და სხვა კოოპერატიულ მეურნეობათა.

ტფ. კომიტეტის განყოფილების გამგე **ხ. დადნაია.**

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში
(7 ივლისი).

ჩერვონცები — — —	14,450
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	13,900
ჩეკები —	11,900
დოლარი ეფექტ. — —	3,100
ჩეკები —	2,850
ოსმალური ქაღ. ლირა —	2240
იტალიური ლირა — —	100
ფრანგული ფრანკი ეფექტ.	155

ტფილისის ბაზრის ფასები.
(7 ივლისი)

პური თეთრი—80—100 ათ., პური 2 ხარისხ.—45—50 მ., ფქვილი თეთრი გირ.—100 მ., შაქარი რაფინადი 630—650, შაქრის ფხვნილი—440, ერბო600—800 ათ. კარაქი—700—800, სამარხვო ზეთი—220, ბრინჯი—აგდაშის—120 ათ., ყველი თუშური—400 ათ., ნალებმოხდილი ყველი—200 ათ., ლობიო მწვანე—80—100 ათ., კართოფილი—40 ათ., კომბოსტო—70 ათ., ძროხის ხორცი—350—400.

მუშკოოპის ფასები.
(7 ივლისი).

პური თეთრი—60 ათასი, პური 2 ხარისხ.—45, ბრინჯი აგდაშის—120 ათ. საპონი როსტოვის—340, კარაქი—960, ლობიო მწვანე—100, კართოფილი—40 ათ., ხორცი ძროხის—350 ათ.

შირაქის ნავთი.

საქართველოს ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებამ მოახდინა შირაქის ველის დათვალიერება ნავთიანი ადგილების გამოსაკვლევად. დათვალიერებამ დადებითი შედეგები მოიტანა. სამი გაბურღული ხვრელიდან და ერთი წყაროდან ამოიღება დღე და ღამეში 200 ფუთამდე ნავთი. ეს ნავთი ისხმება დიდ რკინის ქვაბში. ამ დღეებში მოელიან ტფილისში შირაქის ნავთის დიდ პარტიას, რომელიც მოთავსებული იქნება სათბობი მასალის განყოფილების საწყობებში.

საქართველოს პავილიონი.

საქართველოს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა მისცა საგამოფენო კომიტეტს, 3 მილიარდი მანეთი, მოსკოვში საქართველოს პავილიონის მოსაწყობად.

მუშკოოპში.

4 თვის განმავლობაში, იანვრიდან აპრილამდე მუშკოოპმა გამოაცხო და გაანაწილა პური: იანვარში 3054 ფუთი, თებერვალში—4476 ფ., მარტში—9963 ფ., აპრილში—10,392 ფ. რძის პროდუქტები შეძენილია სართიჭალიდან, ყარაიაზიდან და სხ. და დანაწილებულია აღნიშნული თვეების განმავლობაში 10,921 ფ.

ნიჟეგოროდის ბაზარზე ცენტროკავშირის საქმის მოსაწესრიგებლათ არსდება ბაზრობის სამმართველო, რომელშიაც შევლენ პასუხისმგებელი წარმომადგენელი და სამაზრო კანტორის გამგე.

ცენტროკავშირის ყოველი განყოფილება, სამმართველოს დასტურით, ჰგზავნის ბაზრობაზე თავის წარმომადგენელს, რომელიც სამაზრო მმართველობის ხელმძღვანელობით აწარმოებს ამ განყოფილების ყველა საქმეებს და ხელშეკრულებებსაც დასდებს. საბაზრო სამმართველო, ბაზრობაზე მყოფ განყოფილებათა და კანტორათა წარმომადგენლების მონაწილეობით, მოიწვევს სავაჭრო თათბირს, რომელიც გამოარკვევს ბაზრის მდგომარეობას, სესხის მიღების საკითხს, საქონლის ფასებს და სხვა.

ცენტრო-კავშირის ორგანოთა უდიდესი ყურადღება მიქცეული უნდა იყოს იქითკენ, რომ ცენტროკავშირმა ბაზრობაზე გამოიწვიოს უდიდესი კომერციული ეფექტი, ამისთვის კი ბაზარზე დიდის შერჩევით უნდა გაიგზავნოს საუკეთესო ღირსებათა საქონელი. ნიჟეგოროდის ბაზრობის დასრულებამდე, ცენტროკავშირის საბაზრო კანტრა მონაწილეობას მიიღებს ბაზრობის საქმეებში იმავე საფუძვლებით, როგორც ცენტროკავშირის დანარჩენი ორგანოები. გარდა ამისა, საბაზრო სამმართველოსთან შეთანხმებით, ბაზრობის კანტორა თავისი პირადი შემადგენლობით, ტრანსპორტით, საზღომებით და სხ. ხელს უწყობს და უზრუნველჰყოფს ბაზრობის საქმის წარმატებას.

სასოფლო მეურნეობა

მოსავალი

დასავლეთ საქართველოს მაზრებში ხანგრძლივი გვალვა, რომელმაც ძალიან შეაშინა გლეხები, შეიცვალა ხშირი წვიმებით, რის გამოც სიმინდის მდგომარეობა ერთბაშათ გამოსწორდა და იძლევა იმედს კარგი მოსავლისას.

ამის გამო მიწის მუშის სულიერი განწყობილებაც გაუმჯობესდა. სიმინდის მავნეების შესახებ საშიშარი ცნობები არ მოგვდის.

აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში დაბლობ ადგილებში იჭრება შემოდგომაზე და გაზაფხულზე დათესილი პური.

მცხოვრებნი ჩქარობენ მოსავლის შენახვას, რადგან მაზრის ამა თუ იმ რაიონში ყოველდღე სეტყვა 5—10 წუთის განმავლობაში ანადგურებს ნათესებს და ბაღებს დიდ სივრცეს.

უკანასკნელ ცნობების მიხედვით განსაკუთრებით ძალიან დიდი ზარალი მიაყენა სეტყვამ ბორჩალოს, გორის, სიღნაღის და თელავის მაზრებს. ამ მაზრებში ხშირად შემჩნეულია მიწის მუშის სასტიკი, მაგრამ უსწორო ბრძოლა სტიქიასთან. მიდნვრის ერთ ბოლოში მუშები ჩქარობენ გასჭრან პური, ხოლო მეორე ბოლოში სეტყვა ანადგურებს მოსავალს.

მოსავლის ინტენსიური შენახვის გამო ძალიან დიდი ნაკლულოვანებაა მუშა-ხელის. ეს ნაკლულოვანება ორკეცდება კიდევ იმით, რომ ადგილობრივი ქალი არ იღებს მონაწილეობას მინდვრის სამუშაოებში, და ამიტომ პატარა მეურნეობებსაც კი ესაჭიროებათ დაქირავებული შრომა. მუშა-ხელის ასეთმა მოთხოვნილებამ გამოიწვია ხელფასის გაზრდა. მაგალითად მხოლოდ ერთი დესეტინა მიწის გაცელვა ჯდება 18—20 მილიონი მან., რაც შეადგენს მთელი მოსავლის ნახევარ ღირებულებას სხვა დანარჩენ ხარჯების გამოკლებით.

ძალიან გამწვავებულია ეს საკითხი კახეთში. იქ ნახევარი დესეტინა სიმინდის გამარგვლა ჯდება 25—28 მილ. მან. რადგან მუშა თხოულობს დღეში—3.500.000 მანეთს და ხარჯს. სიმინდის გამარგვლა კი ჩვეულებრივ ორჯერ უნდა მოხდეს. ასეთი ხარჯების გაწევა მიწის მუშას არ შეუძლია, რადგან დღეს იქვე კახეთში 28 მილიონ მანეთად შეიძლება 150 ფუთი გამხმარი სიმინდის შეძენა, ე. ი. იმაზე მეტი, რაც შეუძლია მოვიდეს ნახევარ დესეტინა მიწაზე (ადგილობრივ სიმინდი ფასობს 150—160 ათას მან. ფუთი).

ეს გარემოება აიძულებს ბევრ ოჯახებს დასტოვონ სიმინდის ნათესები დაუმუშავებლად. ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, რათა დაღუპვისაგან დავიხსნათ ათასი დესეტინა სიმინდით დათესილი ყანები კახეთში, ხოლო გლეხების მრავალი ოჯახები გადავარჩინოთ აუცილებელ სიმშილობას.

ვლ. ევეცი.

ობა, რომ შემცდარია ყველა ლოდები, ის სახელმძღვა- აზრები, რომელსაც ის, შედარებით ბუმბერაზი ადა- ურულათ რომ ვთქვათ, ფი- ლუწდიდა. თუ ის ასეთი და- მივიდა, თეორიულ კვლევა შემდეგ—მე მგონია ჩვენც უნდა გვქონდეს. ჩვენ ლდრებით კვლევა-ძიებაში ტინოვს, ვერც სხვას მასზე ლომს, **მაგრამ იმას, რაც ქტიკულად, ჩვენის თვალით ანგარიში უნდა გაუწი-** ტიკულად ვხედავთ საბჭოთა ას, მშრომელთა ხელისუფ- არ არის მთლათ ისეთი ება, რომლის სოციალის- ბები უკვე განხორციელე- არ ვიტყვი, რომ საბჭოთა წყობილება ნიშნავს უკ- რომ აქ კომუნისტური წყო- ვე არის. მაშასადამე, თუ სიტყვებით ვისარგებლებთ რებს შევითვისებთ, ის ყვე- ზე და ყრილობებზე ამას რომ თუ ჩვენ გარეშე ააღმდეგ ძლიერნი ვართ, და მხოლოდ იმისთვის **გარშემო თავი მოიყარა რომელმა ხალხმა.** სამხე- ნიზმის ხანაში 1918, 1919, ვითვალისწინებდით და რთებს უფრო ფხიზლათ ნ პარტიასო.

ნიმე დათმობა ახალი პოლიტიკის შემოღების მარტინოვი კრიტიკუ- ოდა. ეს სჩანს მის მიერ ბეჭდილებიდან უკრაი- თვალ-ყურს ადევნებდა სახელმწიფოთა შეიარა- ებს შემოხიზვნის დროს დასკვნამდე, რომ ყვე- ლმწიფოები რომელთაც ო, რომ ჩვენ მოგვაქვს უფლება და კეთილდღეობა ხალხისთვისო, პრაქტიკულად ამ ხალხს ანადგურებდენ. ეს ის კაცია, რომელიც ასე ძლიერ იბრძოდა 1917 წლამდე და შემდეგაც პროლეტარიატის დიქტატურის გამეფების წინააღმდეგ. ამ პრაქტიკული დაკვირების შემდეგ ამ დიდი კაცის აზროვნებაშიც მოხდა რევოლიუცია, შემდეგ გარდატეხა და ჩვენ დღეს აქ მოვისმენთ მის მიერ დასაბუთებულ შეხედულებას ამ ორი მიმდინარეობის შესახებ.

ორი მიმდინარეობა.

ეს ორი მიმდინარეობა არც ისე ახალია. თუ ჩვენში ცნობილია ეს ბოლშევიზმის და მენშევიზმის სახელით, ევროპაში ეს ასე არ იყო. ბოლშევიკებმა 1903 წელს პირდაპირ დააწერეს თავის დროშას პროლეტარიატის დიქტატურა. **მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ ჩვენამდე ვერ აღწევდა მარქსისტული ლიტერატურა. ვერ აღწევდა ის აზრი, რომელსაც მარქსი და ენგელსი ასწავლიდა.** ამას გარდა ლენინის ნაწერებიდან ვტყობილობთ, რომ ძლიერ ბევრი წერილები ინახებოდენ და 10—20 წლის შემდეგ გამოქვეყნდებოდენ ხოლმე. აგრეთვე თუ ჩვენ ალვიზარდეთ ევროპის სოციალისტურ ლიტერატურაზე და ამით შევითვისეთ სოციალისტური მცნებანი ჩვენ ამან შეცდომაში მიგვიყვანა, რადგანაც დედანთან შედარებით თარგმანებში დიდი განსხვავება ყოფილა.

ერთი საყვედური არ შემიძლია არ უთხრა თვით ლენინსაც, რომ ამ გარემოებას ის აჩნევდა და მხოლოდ 1917 წლის შემდეგ ვგებულობთ ჩვენ. ასე, რომ ერთგვარი საყვედური იმასაც ეკუთვნის, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ამხანაგი კომუნისტებიც ცოტათ თუ ბევრათ სცდებიან რევოლიუციის მამოძრავებელ ძალების დაფასება გადაფასებაში.

თუ ასე მკაფიოდ არ მოდიოდა მუშათა საყურადღებოდ მუშათა რევოლიუციის ნაწარმოები, ამაში რომელი მეტად და რომელი ნაკლებად არის დამნაშავე,—ეს ისტორიის საქმეა და ჩემი დაკვირვება კი—ჩემი პრაქტიკული დაკვირვება მარწმუნებს ჩვენ შეცდომაში. მაგრამ შეიძლება ვცდები, შეიძლება, როცა ხელმეორედ გადავამუშავებ ჩემს დაკვირვებას ვსთქვა, რომ მე ასე დაკვირვებებში ვცდებოდი, ვინაიდგან არ მქონდა ხელთ ისეთი წყაროები, საიდანაც შემძლებოდა სწორი შეხედულების შედგენა. ესეც ხდება ჩვენს ცხოვრებაში.

მარქსი ლაპარაკობდა, რომ ჩემი ნაწერების მკითხველებში ათიდან შეიძლება ცხრამ ვერ გაიგოს რაზეა ლაპარაკი, თავის თავს კი მარქსისტებს უწოდებენო. მის ნაწერებს ამახინჯებენ და თეორიულად და პრაქტიკულად მისი აზროვნების წინააღმდეგ მოქმედებენ.

არა გულწრფელი განცხადება.

თქვენ წაკითხული გექნებათ ალბათ გელეიშვილისა და თევზაიას განცხადება.

ეს ორი პიროვნება აცხადებს, რომ არავითარ პოლიტიკურ მოძრაობაში, მუშაობაში მონაწილეობას არ მივიღებთო.

რაშია საქმე?

მე უნდა გითხრათ, რომ ეს გულწრფელი განცხადება არ არის. რუსულად რომ ვსთქვათ, ეს ხდება „სცელიუ იზოლიროვატ სებია“. ერთი სიტყვით, შემოვიფარგლოთ თავი, ავიცილოთ თავიდან რამდენიმე არა სასიამოვნო მოვლენა და ამისთვის საკმარისია ხელი დავიბანოთ და განზე გავსდგეთ. **როდესაც მუშათა ოჯახი ინგრევა, ირყვნება მუშათა მოძრაობა და სოციალისტური იდეები,** ის ხელს იბანს და მიდის, განზე დგება.

ამას წინეთ გოგოლაძე გაზეთში მეორე შინაარსის განცხადებას ათავსებს. ის ამბობს: უნდა გამოვძებნოთ საერთო ენაო. ე. ი. გამოდის რა? ბევრს ეხსოვნება, რომ ბოლშევიკების და მენშევიკების გაყოფის დროს იყო მესამე მიმართულება, ეგრედ წოდებული შემრიგებლები, „პრიმირენცი“. ესენი ცდილობენ, ზოგი თქვენ დათმეთ და ზოგს ჩვენ დავთმობთო და ერთად გამოვიდეთო. ასეთი იყო მესამე მიმართულება. **მაგრამ საბედნიეროდ ეს მიმართულება წაიშალა.** მგონია კონფერენციამ დღეს გოგოლაძეს წერილზეც უნდა სთქვას თავისი აზრი.

სხვა და სხვა გზები.

არის მრავალი წინადადება:

1. ვიბრძოლოთ ლეგალურათ თუ არა ლეგალურ საშუალებებით, უპირველეს ყოვლისა საბჭოთა სისტემის და მისი უმთავრესი ძალის, კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ.

2. გავდივართ მენშევიკურ პარტიიდან და არაფერ საქმეებს ხელს არ ვკიდებთ. მართალია ინგრევა ყველაფერი, მაგრამ ჩვენ რა უყოთ. ჩვენ გამოვალთ და ვიტყვით ხალხის წინაშე. მე განვაცხადე, რომ არ ვიღებ მონაწილეობას და რა უყო, რომ დაინგრა საქმეო.

3. ის, რომ ჩვენ ვრჩებით როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტია, ვსცნობთ რამდენიმე მის ბრძოლის მეთოდებს და ამ ნიადაგზე გამოვდივართ და მოვითხოვთ კომუნისტურ პარტიისაგან მოხდეს ერთგვარი შეთანხმება—თქვენც იარსებებთ, ჩვენც ვიარსებებთ, მოხდეს ერთგვარი შეჯიბრება. და ცხოვრება დაგვანახვებს, როგორ დამთავრდება ეს ბრძოლა, თქვენ გვაჯობებთ თუ ჩვენ.

ეს აზრი გამომდინარეობს გოგოლაძის წერილიდან. და იმას ალბათ თავის მიმდევრებიც ეყოლება, თორემ ისე არ გამოაქვეყნებდა ამას.

ამ მიმართულებებში კონფერენციამ უნდა აირჩიოს გზა და გამოსთქვას თავისი აზრი.

მე ვათავებ სიტყვას და იმედი მაქვს ამხ. მარტინოვის სიტყვის შემდეგ ლაპარაკის ნება მომეცემა.

მუშათა ცხოვრება

რკინის გზის მუშებში

ტფილისის რკინის გზის უბანში სათადარიგო აგენტების რაოდენობა უკანასკნელ დროს გადიდებულ იქნა.

აქ წინედ იყო 32 თანამშრომელი, ამ ჟამად კი ირიცხება 74-მდე.

სათადარიგო აგენტების დანიშნულება იმაში გამოიხატება, რომ მათ უნდა დაეჭირათ დროებით ალაგები იმ თანამდებობის პირთა, რომელნიც შვებულებაში წასვლით, ან ავადმყოფობის მიზეზით დროებით ვერ აწარმოებდნენ მუშაობას.

აღნიშნული აგენტები არა ყველა თანამდებობის პირთ შეეცვლებოდენ ასეთ შემთხვევებში, არამედ მხოლოდ სადგურების პასუხისმგებელ მსახურთ.

ამრიგად დღემდე ეს „აგენტები“ სამუშაოზე მიდიოდენ მივლინების სახით და გასამრჯელოც მივლინების ფულით ეძლეოდათ.

ორი კვირა არის, რაც მათი მუშაობის ეს წესი სავსებით შეიცვალა.

რკინის გზის სამმართველომ პროფკავშირთან შეთანხმებით სათადარიგო აგენტები მუდმივ თანამშრომლად დანიშნა თბილისის უბნის საზღვრებში ყოველ 40 ვერსზე.

მოვალეობა მათი იგივე რჩება, როგორც წინედ, მხოლოდ ისინი იქნებიან ერთ ადგილზე და მათ დაწესებული აქვთ ამიერიდან განსაზღვრული ხელფასი.

ამ ზომას ის დადებითი მნიშვნელობა აქვს, რომ წინად ამ მუშებს უხდებოდათ ზედმეტ საათებით მუშაობა, ეხლა კი ამას ალაგი აღარ აქვს.

ამას გარდა გადიდებულ იქნა ამ მოსამსახურეთა შტატიც, რადგან ძველი შტატი აღარ კმაროდა მუშაობის წესის შეცვლის შემდეგ და ამით კი უმუშევარ მუშებს მიეცათ სამუშაო.

მუშკორი ჩხმელი.

მუშათა ცენტრალურ კლუბში

1923 წ. 3 ივლისს, მუშათა ცენტრალურ კლუბში დაიწყო სიმფონიური კონცერტები, რუსეთის სახელმწიფო თეატრების დამსახურებულ დირიჟორ ივანე პეტ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

ასეთი კონცერტების მოწყობა დიდი ნაბიჯია მუშათა კლუბში, რაც მიეწერება სახალხო განათლების კომისარიატის და პროფსაბჭოს კულტგანყოფილების ენერგიულ მუშაობას, რომელთა ინიციატივით საშუალება მიეცათ მუშებს მოისმინონ სერიოზული კონცერტები და მომღერლებიც.

შარშანდელთან შედარებით კლუბის ბაღი გამშვენიერებულია და გალამაზებული; შეკეთებულია ზოგიერთი შენობები, კიოსკები, საზაფხულო სამკითხველო, შეკეთებულია საზაფხულო სცენაც.

კვირაში სამჯერ გაიმართება სიმფონიური კონცერტები ივ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით; მოეწყობა აგრეთვე თვითმოქმედების საღამოები მუშათა ცენტრალურ კლუბთან არსებულ წრეების მიერ:—რუსული და ქართული წარმოდგენები, საბავშვო ბაქანა, კინო და სხ. ერთი სიტყვით, კლუბს გამოცოცხლება ეტყობა.

მუშკორი ელიაშვილი.

დავიწყებული უბანი

(სანიტარული კომისიის საყურადღებოდ).

„მთა წმინდა“ ერთ დროს წარჩინებული უბანი იყო შედარებით სხვა უბნებთან. ეს უბანი წარმოადგენდა ქალაქის იმ კულტურულ კუთხეს, სადაც თავს იყრიდნენ მთელი რევოლიუციონური ძალები. აქ იზრდებოდნენ მებრძოლი მუშები. აქ სამართლდებოდა ჩვენი მტრების სიკვდილ-სიცოცხლე. აქ იყო შემდგარი ტერორისტების ჯგუფი ალექსანდრე ობოლაძის ხელმძღვანელობით, რომლის მოქმედებაც თავზარსა სცემდა ძველ ჟანდარმერიას. ეხლა კი ეს უბანი სრულებით მივიწყებული და უყურადღებოდ მიტოვებულია. ქუჩები აქ მოუკირწყლავი და ნიაღვრებისაგან ჩახრამულ ჩანგრეულია. ყველგან სუფევს უსუფთაობა; ყველგან აუარებელი ნაგავი ყრია და სდგას საშინელი ამიაკის სუნი. დროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება და მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები მისი სალიკვიდაციოდ.

მუშა—შინატეხილი.

მისაბაძი მაგალითი

1-ლი სახელმწიფო სამკერვალო იმყოფება მელიქოვის ქუჩაზედ № 5 ეკუთვნის უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოს. ამ სამკერვალოში მუშაობენ საუკეთესო მუშები. სამწუხაროდ, საქმის უქონლობის გამო, სახელოსნო ზარალობს და მუშებს მატერიალურად ვერ აკმაყოფილებს. სამკერვალო მასალების უქონლობის გამო უნდა დაკეტილიყო. მოხდა საერთო კრება, სადაც მუშებს გააცნეს, რომ ფაბრიკას აღარ შეუძლია არსებობა. ეს ამბავი არა სასიამოვნო იყო ჩვენი მუშებისთვის; მუშებმა ერთხმად სთხოვეს, როგორც ადმინისტრაციას, ისე კავშირს, რომ მათ მიეღოთ სათანადო ზომები, რათა ფაბრიკა არ დაკეტილიყო. მასთან ჩვენმა შეგნებულმა მუშებმა ორი კვირის შვებულებისთვის ხვედრი ჯილდოზე უარი განაცხადეს და მისცეს ადმინისტრაციას წინადადება—მოხმარდეს ეს ფულები სახელოსნოს საქმეებს. ამგვ არად 7 ივნისიდგან მუშების 10 პროცენტი იქნა შვებულებაში გაგზავნილი ერთი თვით.

მუშა-ქალი **მარო გველესიანი.**

პირველ რაიონის „სპარტაკი“-ს ცხოვრებიდან.

სავარჯიშო ორგანიზაცია „სპარტაკში“ მიილტვის ყოველი მხრიდან აუარებელი ხალხი მშრომელი] მასსებიდან, რადგან „სპარტაკი“ სხვა და სხვა სანახაობებით და გამოსვლებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველებზე. ამისდამიხედვით „სპარტაკში“ ჩასაწერად მსურველების რიცხვი თანდათან იზრდება. ყველასათვის წარმოსადგენია, თუ რა ძნელია ამდენი ბავშვების ფიზიკურად მომზადება, მაგრამ ორგანიზაციის თანამშრომლები ხმარობენ ყოველ ღონისძიებას, რომ გასწვრთნან ყოველი მუშის შვილი ისე, რომ მომავალში რაიმე სარგებლობა მოუტანოს მან საზოგადოებას.

იმედია, შემდეგშიაც კვლავ იარსებებს ჩვენი ორგანო „სპარტაკი“ და გამოსწვრთნის იმისთანა პირებს, რომელნიც იქნებიან ახალი ცხოვრების განმამტკიცებელნი.

პირველ რაიონის „სპარტაკი“ კარგ ნიადაგზეა დაყენებული, მას ეტყობა ყოველ მხრივ წინმსვლელობა. ამას ხელს უწყობენ ზემოხსენებულ ორგანიზაციის თანამშრომლები, რომელნიც ასწავლიან და აგონებენ ბავშვებს იმას, რაც ცხოვრებაში ყველასათვის გამოსადეგია. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ზოგიერთ თანამშრომლებს, რომელნიც დიდ ენერგიას ხარჯავენ ბავშვების მომზადებაში, არავითარი ჯამაგირი არა აქვთ.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება და აღნიშნულ პირთა შრომა იქნეს ღირსეულად დაფასებული.

მუშის შვილი ვლ. დევაძე.

ეგნატე ნინოშვილის ნაწერების სრული აკადემიური გამოცემა

(მიმართვა)

ამა წლის 10 ივნისს, ეგნატე ნინოშვილის ძეგლის გახსნაზე თბილისში ამხ. მამია ორახელაშვილმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის სახალხო კომისართა საბჭოს სახელით განაცხადა, რომ ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა დღევანდელი მტკიცე კავშირის წინამორბედის და ამ კავშირის მხატვრულათ გამომხატველის, რევოლიუციონერ-ბელეტრისტის ხსოვნის აღსანიშნავათ და მის პატივსაცემლად ამიერ-კავკასიის მთავრობა მეტათ საპატიო მოვალეობის შესრულებას სხვას ვერ დაანებებს და თვითონვე კისრულობს: ის თავისი ხარჯით გამოსცემს ეგნატე ნინოშვილის ყველა ნაწერების სრულ კრებულს ერთ ტომათ, როგორც ქართულათ, ისე სომხურათ და თათრულათ.

და აი ამ დიდი საქმის შესრულებას საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა 5 ივლისიდან უკვე შეუდგა. ამ დღის სხდომაზე სარედაქციო კოლეგიამ ამხ. მამია ორახელაშვილის წინადადებით შეადგინა სარედაქციო მცირე კოლეგია, რომელშიაც შევიდნენ: ამხ. ამხ. ფილიპე მახარაძე, რაჟდენ კალაძე და ივანე გომართელი. მცირე კოლეგიას დაევალა დღეიდანვე შეუდგეს მზადებას, რომ ეგნატე ნინოშვილის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა უნაკლულო იქნეს. უნდა გამოიცეს ერთ ტომათ სრული ბიოგრაფიით და სახელმძღვანელო წერილებით.

ამიტომ ზემოხსენებული კომისია მიმართავს ყველას, ვისაც კი რაიმე მასალა მოეპოება—კერძო წერილები, სურათები, მოგონებანი, ხელთნაწერი და ეგნატეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ რაიმე საყურადღებო ცნობა—რაც შეიძლება დაჩქარებით მიაწოდოს ზემოთ აღნიშნულ კომისიას შემდეგი ადრესით: საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატი (ლორის მელიქოვის ქ. № 5) სახელმწიფო გამომცემლობა, ამხ. რაჟდენ კალაძეს.

პროფკავშირებში

განათლების მუშაკთა კავშირში.

საპედაგოგო ჟურნალი.

უახლოეს მომავალში განათლების მუშაკთა კავშირი გამოსცემს საპედაგოგიო ჟურნალს ქართულ და რუსულ ენაზე. სარედაქციო კოლეგიის წევრად იქნებიან ამხანაგები: შავერდოვა, შიუკაშვილი, კონიაშვილი, თალაქვაძე და კიკნაძე.

პროვინციის დასათვალიერებლად.

პროვინციის სამაზრო განყოფილებების დასათვალიერებლად გაიგზავნებიან პრეზიდიუმის წევრნი ამხ. გეგენავა, მეძმარიაშვილი, შიუკაშვილი და შავერდოვა.

ადგილების განაწილება აგარაკებზე.

განათლების მუშაკთა კავშირის წევრებისთვის ადგილების განაწილება აგარაკებზე დაკისრებული ჰქონდა რაიადგილკომებს. დაკმაყოფილებულია 90 პრ. განცხადებათა; კოჯორში პირველ რიგში გაიგზავნა 55 კაცი. მეორე რიგის დროს გაიგზავნება 32. იგზავნებიან წევრები აგრეთვე ბორჯომში, წაღვერში და ცემში.

სამაზრო განყოფილების მაგივრად ადგილკომები.

პრეზიდიუმმა დაადგინა გადაკეთდეს შემდეგი სამაზრო განყოფილებები ადგილკომებად: ბორჯომი, ახალციხე, თიანეთი, ახალქალაქი და დუშეთი.

ბეჭდვითი სიტყვის სექციაში

პლენუმის მოწვევა.

უახლოეს მომავალში ბეჭდვითი სიტყვის სექციაში მოწვეული იქნება გაფართოებულ პლენუმის სხდომა, რომელზედაც დაესწრებიან ამიერკავკასიის ყველა რედაქტორები და აგიტგანყოფილების გამგენი.

ამიერ კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის სექციის წარმომადგენელთა თათბირი.

უახლოეს მომავლისთვის განზრახულია აგრეთვე მოწვეულ იქნეს ამიერკავკასიის ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელთა თათბირი.

აღმშენებლობის კავშირში.

პროფტეხნიკური კურსები.

პროფტეხნიკური კურსები, რომელიც გახსნილი იყო ამ რამდენიმე ხნის წინად, დაამთავრა 26 კაცმა; ყველა კურს დამთავრებულნი გამწვესებულნი იქნებიან საამშენებლო მუშაობაზე.

სამშენებლო-ტეხნიკურ წარმოების პროექტი.

კავშირმა გამოიმუშავა საამშენებლო-ტეხნიკურ წარმოების პროექტი და საბოლოოდ განსახილველად და აზრის დასასკვნელად წარუდგინა პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებას.

პროფმუშაობისათვის.

დადგენილია გააცხოველოს პროფმუშაობა კავშირის წევრთა შორის და ამ მიზნით დაარსონ ადგილკომები, სადაც დღემდის ასეთნი არ არსებობდნენ.

წითელ ჯარში

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე ჩვენს ჯარში

1901 წელში დაბადებულთა ახალგაზრდობის ჯარში გაწვევის შემდეგ, ჩვენს ჯარის რიგებში აღმოჩნდა 1600 წითელ არმიელზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარნი და ამდენივე მცირე მცოდნენი. პოლიტ-განყოფილების სასკოლო ქვე-განყოფილებამ იქონია რა მხედველობაში ასეთი დიდი რიცხვი წერა-კითხვის უცოდინარებისა, მიზნათ დაისახა, რომ ჯერ მოესპო უცოდინარობა ჩვენს ჯარში და შემდეგ კი მოეკიდა ხელი მცირე მცოდნეთა გათვითცნობიერებისათვის. მაგრამ ამ მიზნის მიღწევასაც დიდი დაბრკოლება გადაეღობა წინ—მასწავლებელთა საკმაო რიცხვის უყოლობა. შტატის მთელ დივიზიას ეკუთვნის 19 მასწავლებელი, ცხადია, რომ ეს რიცხვი მასწავლებლებისა ვერ გაწვდება 1600 კაცს. ამიტომ საჭირო იყო დაგვექირავებინა შტატ-გარეთ მასწავლებლები.

სახალხო განათლების კომისარმა იკისრა შეენახა თავის ხარჯზე 20 მასწავლებელი, რამაც თითქმის წელში გაგვმართა. მოვნახეთ ის მასწავლებლებიც და დავაგზავნეთ ნაწილებში. აღსანიშნავია ნაწილების სამხკომების და უფროსების თავგამოდებული მუშაობა ამ დარგში. ნაკლულოვანება სამოსწავლო წიგნების და ნივთებისა, რომელსაც განიცდიდა სასკოლო განყოფილება, შევსებულ იქმნა იმ თანხიდან, რომელიც მოგვცა ამ მიზნისათვის საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ასე ამ რიგათ 1 ივლისისათვის ყველა ნაწილებში სასკოლო საქმე მოგვარებულ იქმნა. სულ არსებობს 67 ჯგუფი და არის ამდენივე მასწავლებლები. ეს ჯგუფები ნაწილდება შემდეგნაირათ: პირველ ლეგიონში—15 ჯგუფი, რომელშიც არის 400 წერა-კითხვის უცოდინარი, მეორე ლეგიონი—13 ჯგუფი 350 წ. კ. უცოდინარნი; მესამე ლეგიონი 20 ჯგუფი 600 წ. კით. უცოდინარნი; ცხენოსანი ლეგიონი 4 ჯგუფი—80 წ. კ. უცოდინარნი; საავიაციო დივიზია 2 ჯგ. 6 წ. კ. უ. და 25 მცირე მცოდნენი. დივიზიის საავათმყოფოში 1 ჯგ.—18 მცირე მცოდნენი. საკავშირო ასეული 1 ჯგ. და 4 წ. კ. უ. 4 მც. მცოდნენი. საგაუბიცო ბატარეია—2 ჯგ.—16 წ. კ. უც. და 12 მც. მცოდნენი; მესანგრე ასეული 3 ჯგუფი—ერთი 8 კ. უ. და ორი მც. მცოდ. სულ არის 50 მოწაფ., უმწყობრო გუნდი შეერთებულ სკოლისა 2 ჯგ.—35 წ. კ. უ. საარტილერიო დივიზიონში და პარკში 4 ჯგ. წ. კ. უ. 60 კაცამდე.

1 სექტემბრისათვის ყველა ნაწილებში უნდა მოხდეს წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია, რომ არც ერთი წითელ არმიელი არ დაუბრუნდეს თავის სოფელს უცოდინარი.

მაგრი

ქ. ტფილისის აღმასკომის საყურადღებოდ

ქ. ტფილისში არსებობს ერთეულ ხელოსანთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოება, რომელშიც ითვლება 5,000 კაცამდე.

ჩვენ ჩამორჩენილ ქვეყანაში ხელოსნობა ძალიან განვითარებულია, მაგრამ საჭიროა ხსენებულ ხელოსანთა ორ კატეგორიათ დაყოფა, ე. ი. ხელოსანი, რომელიც სხვისი შრომით სარგებლობს და ხელოსანი, რომელიც მუშაობს, შრომობს მარტო, დაქირავებული არავინ ჰყავს.

ტფილისის ერთეულ ხელოსანთა საურთი-ერთო დამხმარე საზოგადოება შესდგება სწორედ იმ პირებისაგან, რომელნიც დაქირავებულ შრომას არ მიმართავენ და თავიანთ თავს უწოდებენ პროლეტარებს და ნახევრად პროლეტარებს, რაც სრული ჭეშმარიტებაა.

შესაძლებელია, ერთეულ ხელოსანთა საურთი-ერთო საზოგადოებაში იყოს შემოპარული ისეთი პირები, რომელნიც დაქირავებული შრომით სარგებლობენ, ამიტომ საზოგადოებას ჰყავს კომისია, რომელიც სისტემატიურად სწმენდავს საზოგადოებას ასეთი პირებისაგან.

ქ. ტფილისის ერთეულ ხელოსანთა საურთი-ერთო საზოგადოების წევრებს უნდა მიეცეს შეღავათი ყოველგვარ გადასახადებში, ნამეტურ კი „დარაბების“. ქირის გადახდაში, 50 პროცენტით, ტეხნიკურად ამის გამორკვევა და მოგვარება არ არის ძნელი.

საჭიროა ეს კითხვა მოაგვაროს დაჩქარებით ტფილისის აღმასკომმა.

ქ. ხომერიკი.

ქრონიკა

საქ. სახ. კომისართა საბჭოში.

— **სპეციალური ფონდების დაარსება სასწავლებლებში.** განათლების სახ. კომისარიატმა საქართველოს სახ. კომისართა საბჭოში აღძრა შუამდგომლობა სასწავლებლებში სპეციალური ფონდების დაარსების შესახებ.

— **სესხი მუშებს.** პროფკავშირების საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად სახ. კომისართა საბჭომ საჭიროთ სცნო, რათა მუშებს ეძლეოდეს სესხი და ამ მიზნით კომისართა საბჭომ გადასდო 15,000 მანეთი ჩერვონცით.

— **ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აგება არაგვზე.** კომისართა საბჭომ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა მდინარე არაგვზე ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ასაგებათ რაოდენობით—975,150 მ. ჩერვონცებით.

— **წყალსადენი ახალქალაქში.** სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა გაყვანილი იქნეს ახალქალაქში წყალსადენი. ხარჯთ-აღრიცხვა ახალქალაქში წყალსადენის გასაყვანათ საბჭომ უკვე დაამტკიცა.

— **გეოგრაფიული ინსტიტუტი.** კომისართა საბჭომ მოიწონა განათლების კომისრის მოხსენება სახელ. უნივერსიტეტთან გეოგრაფიულ ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ინსტიტუტი გაიხსნება 1-ლ სექტემბერს.

— **ყვავილის სავალდებულო აცრა.** კომისართა საბჭომ მიიღო პროექტი ყვავილის სავალდებულო აცრის შესახებ.

— **დახმარება ამხ. ს. წულუკიძის ოჯახს.** სახ. კომისართა საბჭომ ამხ. ს. წულუკიძის მშობლებისათვის დასახმარებლად გადასდო 50 მან. ჩერვონცით.

— **სამკურნალო დახმარება.** კომისართა საბჭომ მიიღო პროექტი მოსახლეობისათვის სამკურნალო დახმარების გაწევის შესახებ და დაადგინა მიღებული იქნეს ზომები შინაურ აქიმობის მოსასპობათ.

განათლების კომისარიატში

— **მცირე წლოვანი დამნაშავენი.** განათ. სახ. კომ. არსებულ მცირეწლოვანთა დანაშაულობის განმხილველ კომისიაში ივნისის განმავლობაში ირიცხებოდა სულ 66 საქმე, მათგან 63 ვაჟია, 3 ქალი. ეროვნების მიხედვით 16 ქართველი, 26 სომეხი, 19 რუსი და მაჰმადიანი 21. გაირჩა სულ 38 საქმე, მოისპო სრულებით 17, გადაეცა სახალხო სასამართლოს 1, ივლისისათვის დარჩა 7 საქმე.

— **საფარმაცევტო განყოფილების დაარსება.** პროფგანათლების მთავარმმართველობამ დაადასტურა სახ. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება საექიმო ფაკულტეტთან ცალკე საფარმაცევტო განყოფილების დაარსების და საპროვიზორო კურსების გაუქმების შესახებ.

რკინის გზაზე.

— **ტვირთების მიმოზიდვის უზრუნველყოფათ.** სადგურის უფროსებს წინადადება მიეცათ დააკავონ ისეთი საოჯახო ტვირთები, რომლებიც მიმოიზიდებიან ღია პლატფორმებით, თუ მათ არ ეხლებათ პასუხისმგებელნი გამყოლნი.

— **რკინის გზის ქალაქის სადგურის შემოსავალი.** ივნისის განმავლობაში სადგურის შემოსავალი უდრის 16,000 მანეთს ოქროთი. აგრეთვე ამავე სადგურმა აამუშავა ათასი საბარგო ავტომობილი.

სხვა და სხვა.

— **საჰაერო ფლოტის კვირეულის გადადება.** საჰაერო ფლოტის კვირეული გადაიდო 22—28 ივლისამდე.

— **შტატების შემოკლება.** მოხდა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში მუშა-მოსამსახურეების შტატის შემოკლება. შტატს გარეშე დარჩა 101 კაცი.

— **სკოლის თხოვნა.** მე-15 შრომის სკოლა სთხოვს საზოგადოებას შემოსწირონ სკოლის ბიბლიოთეკას ქართული და რუსული წიგნები; შეწირულება დიდის მადლობით მიიღება ყოველ დღე საღამოს 5—6 ნახ.-მდე, სკოლაში ვერა, არაგვის ქ. № 2.

ხელოვნება

სიმფონიური კონცერტი მუშათა ცენტრალურ კლუბში.

ორკესტრს მეთაურობს ვანო ფალიაშვილი. პროგრამა უმეტეს ნაწილად შედგენილია სიმფონიური ხასიათის ნაწარმოებებიდან. უვერტიურა არენსკის ოპერიდან „სიზმარი ვოლგაზე“ ოპერის საუკეთესო ნაწილია; მოკლებული არ არის მელოდიურ მხარეებს და ის სიმფონიურ კონცერტების პროგრამაში შევიდა. აი „სპარსელი ქალების ცეკვა“ მუსორგსკის ოპერიდან „ხოვანშჩინა“. ეს ნაწარმოები განსაკუთრებით ნიჭიერად არის დაწერილი, როგორც მუსორგსკის სხვა ნაწარმოებებიც ცეკვა გამსჭვალულია ეგზოტიურ აღმოსავლეთურ კოლორიტით; მუზიკის ასეთი ხასიათი მშვენივრად იყო დასურათებული ორკესტრის მიერ.

ჩაიკოვსკის სულ სამი ბალეტი აქვს და ისინი ერთი მეორეზე მუსიკალურია. მათი შესრულების დროს საჭიროა მელოდიური სურათების დეტალური დამუშავება. სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ მათი შესრულება არ იყო დამთავრებული, სახელდობრ იმიტომ, რომ არ იყო ნათელი სურათი, დროგამოშვებით არ სჩანდა სტილი და რიტმი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბალეტის მუსიკაში.

გლინკას „კამარინსკაია“ შეიძლება შეტანილი იქნას სიმფონიურ კონცერტის პროგრამაში მხოლოდ იმიტომ, რომ მას საუცხოვო ინსტრუმენტოვკა და ორკესტროვკა ახასიათებს; ისე კი სახალხო თემა ბანალურია და მთელი ნაწარმოები ერთფეროვანი თემათი მოსაწყენი მოსასმენია. „კამარინსკაიას“ სიმფონიურ კონცერტის პროგრამაში შეტანა არ ღირდა.

გლაზუნოვის საკონცერტო ვალსს ორკესტრი მეტად ნელი ტემპით ასრულებს, რაც ანელებს შთაბეჭდილებას.

რიმსკი-კორსაკოვის „ესპანიური konpurrio“ სავსეა მელოდიებითა და ჰარმონიებით. ეს ნაწარმოები სიმფონიური კონცერტების პროგრამის ერთ საუკეთესო ნომრად ითვლება.

მშვენივრად იმღერა ჩაიკოვსკის რომანსი „გაკურთხებთ თქვენ ტყეებო“—სახელმწიფო ოპერის მსახიობმა ისეცკიმ.

მუსიკოსი.

—

— **საღამო—სეირნობა მწერალთა კავშირების საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად.** ორშაბათს, 9 ივლისს დაისის ბაღში („ვეჩერნი ზორი“) გაიმართება დიდი საღამო—სეირნობა ქართველ მწერალთა კავშირების საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლათ. საღამო—სეირნობის პროგრამა მრავალფეროვანია. სხვათა შორის ამ საღამოს ნაჩვენები იქნება „სურამის ციხე“.

— **პროლეტარული კინო.** განზრახულია ტფილისში დაარსდეს პროლეტარული კინო. აღნიშნულ კინოში განსაკუთრებულად ნაჩვენები იქნება სურათები პროლეტარიატის და რევოლიუციის ცხოვრებიდან.

— **ოპერა „ვეფხის ტყაოსანი“.** ახალგაზრდა კომპოზიტორმა ლეო ფალიაშვილმა დასწერა ოპერა „ვეფხვის ტყაოსანი“. ლიბრეტო ეკუთვნის მირიანაშვილს.

— **ალ. ბლოკის „თორმეტი“ ქართულად.** გამოვიდა ქართულ ენაზე ალ. ბლოკის ცნობილი პოემა „თორმეტი“ და „სკიფი“ ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ თარგმნილი.

— **ქართველი ახალი მომღერლები.** მომავალ სეზონში საოპერო დასში მიწვეულნი არიან ახალი მომღერლები ვენაძე, ქაშაქაშვილი.

— **მარიამ თარხნიშვილის კონცერტი.** დღეს, 8 ივლისს ავჭალის მუშათა თეატრში გაიმართება მარო თარხნიშვილის კონცერტი საინტერესო პროგრამით.

— **დები თარხნიშვილების კონცერტები პროვინციებში.** დები თარხნიშვილები ახლო ხანში გამართავენ სახალხო კონცერტებს ჭიათურაში, ყვირილაში, და სურამში.

პროვინციაში

წვიმა და სეტყვა ს. ყარალაჯში (გორის მაზრა)

ამა წლის 12 და 13 ივნისს, სოფ. ყარაღაჯს დიდი უბედურება დაატყდა თავს. ოთხშაბათს საღამოს დიდი კოკისპირული წვიმა მოვიდა, მინდვრად ბევრგან ყანები გააფუჭა, სილით დაფარა, წუმპე ტბები დააყენა, ვენახ-ბაღებში დიდძალი ქვა და რიყე ჩაყარა, წლობით გაკეთებული სასოფლო რუები მიანგრ-მოანგრია, ვაზები ბევრგან წააქცია და მიწაში ჩაფლა, ბოსტნეული სულ ერთიანად მოსპო. უბედურ გლეხობას—კედლებიდან და ეზოებიდან წყალი სახლებში შეუვარდა და ააწიოკა. ეს მოვლენა მაყურებელზე საშინელ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

13 ივნისს მშვენიერი, გრილი დილა გათენდა, შუადღის შემდეგ კი უეცრად შავი ღრუბელი გადაეფარა ცას, მოისმა ხმაური და წამოაყარა სეტყვა, თოვლივით გაათეთრა სოფელი, ყანა, ბაღი, ვენახი, რის აოხრებაც წინა ღამ ვერ დაამთავრა წვიმამ, მთლად მოსპო სეტყვამ, მინდვრად გასული ყარაღაჯის გლეხობა გულხელებ დაკრეფილი დასცქერის მიწასთან გასწორებულს ყანებს და სიმინდებს, ფოთოლ მტევნებისგან გაცლილ ვაზებს და ცრემლებით დასტირის თავის თავის უბედურებას.

საჭიროა დაუყოვნებლივი დახმარება.

ესტატე ბერიაშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკანური სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის დახმარების კომიტეტების მოწყობისა და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათა ორგანიზაციის შესახებ.

1923 წლის ივნისის 22.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I.

1. მოეწყოს ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის დახმარების კომიტეტი ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით, რომელსაც ჰყავს ორი მოადგილე; კომიტეტში შევლენ: თითო წარმომადგენელი ამიერ-კავკასიის სახალხო კომისარიატებისა: ფინანსთა, სასურსათოსი, უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი, რესპუბლიკათა კავშირის სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილებისა, ცენტრალური კოოპერატივთა კავშირის ამიერ-კავკასიის განყოფილებისა, გლეხთა—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა შედგენილობიდან და პერსონალურად დანიშნული მცოდნე პირნი. კომიტეტის პირვანდელ შედგენილობას დაამტკიცებს ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

2. მოეწყოს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი თვითეული რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან სოფლის მეურნეობისა და სასოფლო სამეურნეო მრეწველობის დახმარების რესპუბლიკანური კომიტეტი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე; კომიტეტში შევლენ: ორი წარმომადგენელი მიწადმოქმედების სახ. კომისარიატისა, თითო წარმომადგენელი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, ეკონომიური თათბირისა, კოოპერატივთა რესპუბლიკანური კავშირისა, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულისა, ამიერ-კავკასიის სასურსათო სახ. კომისარიატის რწმუნებულისა, გლეხთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა შედგენილობიდან—და პერსონალურად დანიშნულნი მცოდნე პირნი. რესპუბლიკანური კომიტეტის პირვანდელ შედგენილობას დაამტკიცებს სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

3. ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის დახმარების კომიტეტის საშუალებანი შესდგება:

ა) სპეციალური თანხებიდან, რასაც გადასდებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ბ) სპეციალური თანხებიდან, რასაც გადასდებს ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი; ეს თანხები რესპუბლიკათა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გადადებული თანხის 50 პროცენტზე ნაკლები არ უნდა იყოს.

II.

4. დახმარების ამიერ-კავკასიის კომიტეტის საერთო კონტროლისა და ხელმძღვანელობის ქვეშ, რაც განხორციელდება რესპუბლიკანური დახმარების კომიტეტების მეშვეობით, დაწყებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის რესპუბლიკანურ (აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოსი) საზოგადოებათა მოწყობა.

5. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის რესპუბლიკანური საზოგადოების დამფუძნებელი არის კუთვნილებისამებრ: ა) მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი; ბ) სახელმწიფო ბანკი, ან სახალხო ბანკი; გ) კოოპერატივთა კავშირი; დ) სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო; ე) რესპუბლიკათა კავშირის სახელმწიფო ბანკის განყოფილება; ვ) ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს განყოფილება; ზ) ყველა გაერთიანებული სამეურნეო სახალხო კომისარიატი თავისი რწმუნებულის სახით და თ) სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის განყოფილება, გარდა ამისა, დამფუძნებელთა რიცხვში შეიძლება შევიდეს სხვა საერთო-ფედერატიული და რესპუბლიკანური დაწესებულება, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, საწარმო და კერძო მოქალაქე, რომელნიც დაინტერესებულნი არიან სოფლის მეურნეობის განვითარებით.

6. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი შესდგება დამფუძნებელთა მიერ თავიანთი პაების შესყიდვით და გლეხთა პაების გამოშვებით.

გლეხთა პაის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს დამფუძნებითი პაის ღირებულების ერთი მეათედს.

შენიშვნა: მე-5 მუხლში ჩამოთვლილ დამფუძნებულთა მონაწილეობის ზომა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის თვითეულ რესპუბლიკანურ საზოგადოებაში არ შეიძლება იყოს ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გადადებული თანხის ერთ მესამედზე ნაკლები.

7. აღნიშნული წესით შედგენილი საზოგადოების მთელი ძირითადი კაპიტალი მოხმარდება მხოლოდ სოფლის მეურნეობისათვის კრედიტის მიცემის საქმეს (ინვენტარისა, მუშა-საქონელისა და თესლეულობის ყიდვა, მიწის სასუქი მელიორაცია, აბრეშუმის ჭიის თესლი და მავნებლებთან ბრძოლა). ამასთანავე საზოგადოება არ შექმნის თავის ადგილობრივ ორგანიზაციას, არამედ გამოიყენებს არსებულ დაბალ კოოპერატივებს.

8. გლეხთა პაის მფლობელს, როგორც ცალკე პირთ ან მათ ორგანიზაცია-კოოპერატივს, უკეთუ ესენი ეწევიან სოფლის მეურნეობას, ეძლევათ შემდეგი (შეღავათი): ა) უფლება სასურსათო გადასახადის შეტანის ვადის განგრძობისა 5 თვემდე მათი კუთვნილი პაების თანხის რაოდენობის ფარგლებში და ამ თანხის გარანტიის ქვეშ; ბ) თვითეული საზოგადოების პირველი ორი წლის არსებობის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ფედერაციის მთავრობა იძლევა გარანტიას გადაიხადოს ამ საზოგადოების გლეხთა პაის დივიდენდი იმ რაოდენობით, რაც არ უნდა იყოს წლიურ 3 პროცენტზე ნაკლები ოქროს ვალიუტის მიხედვით და ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე გადატანით ოფიციალური კურსისამებრ; გ) გლეხს, პაის მეპატრონეს, ეძლევა უპირატესობა კრედიტის მიღებაში სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათაგან; დ) უკეთუ საზოგადოების ლიკვიდაცია მოხდება, გლეხი, პაის მეპატრონე, დაკმაყოფილებულ იქნება, უპირატესად პაის დანარჩენ მეპატრონეთა წინაშე, თავისი საპაიო შენატანის მიხედვით.

9. სესხი მიეცემა ვადით არა უმეტეს სამი წლისა.

10. მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატისა და სხვა დაწესებულების მიერ საზოგადოებას შეიძლება მიეცეს, ხელშეკრულების საფუძველზე, სპეციალური კაპიტალი სპეციალური დანიშნულებით სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის.

11. სახელმწიფოს მიერ გაღებული სათესლე ფონდი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა საზოგადოებებს სპეციალურ სათესლე კაპიტალად და თვითეულ საზოგადოებას უფლება აქვს გასცეს ხოლმე სათესლე სესხი და მოიხმაროს თავის სასარგებლოდ შეპირებული ნაწილი აღნიშნული სესხით გადახდევინებული პროცენტისა. ფონდის გადაცემა, სხვათა შორის, შეიძლება განხორციელებულ იქნეს აგრეთვე სავალო ვალდებულებით იმ სათესლე სესხისა, რაც აქვს მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატს, სასურსათო სახ. კომისარიატს და მათ ორგანიზაციებს.

12. საზოგადოებას უფლება ეძლევა გადაახდევინოს ყველა მის მიერ გაცემული სესხი, სათესლე სესხის გამოუკლებლად, უდავო წესით.

13. გლეხთა პაის ყველა მფლობელს აქვს ხმის მიცემის უფლება საერთო კრებაზე, თანაბრად მისი კუთვნილი პაების რიცხვისა. პირი და დაწესებულება, რომელსაც აქვს დამფუძნებითი პაი, სარგებლობს ხმის ისეთ რაოდენობას, რაც შეეთანხმება ამ პაების ღირებულებას.

14. რათა მოსახლეობისათვის, რომელიც თავის შრომით მონაგარს ინახავს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებაში, შეიქმნას რაც შეიძლება მეტი სარგებლობა, საზოგადოებას დააგრეთვე მის რწმუნებულ კოოპერატივს ადგილობრივ, ნება ეძლევა ანაბარის მიღების დროს დააზღვიოს ფულის ნიშნები ფასის დაკარგვისაგან. ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობა თავის თავზე იღებს ასეთ დაზღვევის გარანტიას.

15. საზოგადოებას და მის რწმუნებულ კოოპერატივს უფლება ეძლევა მიიღოს ანაბარი ნატურად და გასცეს საანაბარო მოწმობა.

16. ანაბარი, რასაც მიიღებს საზოგადოება ან კოოპერატივი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეკრულ იქნეს ან მოხდეს მისი კონფისკაცია სხვაგვარად თუ არ სასამართლო ხელისუფლების დადგენილებით.

17. დოკუმენტი, რასაც საზოგადოება გასცემს ვადიანი ანაბარისათვის შეიძლება მიღებულ იქნეს გირაოდ მთავრობის დაწესებულებასთან დადებული ხელშეკრულებით.

ძირითადი კაპიტალის შესაქმნელად 1923 წლისათვის, საერთო-ფედერატიულ სახელმწიფო საშუალებათაგან დახმარების ამიერკავკასიის კომიტეტს მიეცემა 700.000.000 მან. ოქროთი.

18. ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ევალება ერთი თვის განმავლობაში განსაზღვროს წესი ზემოაღნიშნული სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათა მოწყობისა და შეიმუშაოს ნორმალური წესდება.

ამიერ--კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მდივანი **ბ. თალიბლი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს: 1. ავეტისოვს, 2. ათარბეკოვს, 3. ადამიძეს, 4. ადამიანს, 5. ოგანოვს, 6. არნაუტოვს, 7. ამოს, 8. ბუნიატ-ზადეს, 9. ბაგიროვს, 10. ბაშინჯაგიანს, 11. ვანციანს, 12. ვულფოვიჩს, 10. ღოლობერიძეს, 14. დანდუროვს, 15. დეშევოის, 15. ერქომაიშვილს, 17. ეგიკოვს, 18. კასიანს, 19. კარახანიანს, 20. ლევშიცს, 21. მორჩილაძეს, 32. მაშკევიჩს, 23. მელიქ-ეტოვს, 24. ნემჩინოვს, 25. ოკუჯავას მ., 26. ოკუჯავა ნიკოლოზს, 27. ოგოროდნიკოვს, 28. პოლისს, 29, სააკიანს, 30. საბაშვილს, 31. სურხატიანს, 32. სეროპიანს, 33. სოსიანს, 34. თარხანოვს, 35. ტერ-არუთინოვს,—თანახმად საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის მობილიზაციისა გამოცხადდენ ორშაბათს, 9 ივლისს, დღის 12 საათზე, საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომში.

მე-3 რაიკომის პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ: რახმანი.

— ცხადდება ტფილისის მაზრის საგანგებო დანიშნულების ნაწილის კომუნართა საყურადღებოდ, რომ 3 ივლისს, ა. წ. ტფ. მაზრის საგანგებო დანიშნულების ნაწ. ბატალიონის შტაბში, კარლ მარქსის მოედანზე, № 2, დანიშნულია კომისია, რომელიც ხელმეორედ შეამოწმებს სამწყობრო სამსახურიდან, ავადმყოფობის გამო წინად განთავისუფლებულ კომუნარებს, და აგრეთვე ხელმეორედ შეამოწმებს ამა თუ იმ გაწვევის ჯარში წინად მომქმედ კომისიის მიერ უსამართლოთ ჩარიცხულ კომუნართა ჯანმრთელობასაც.

კომისია ყოველდღე მუშაობს ნაშუადღევის 2—3 საათამდე.

ტფ. მაზრ. საგ. დანიშ. ნაწ. უფროსი დოლიძე.

— ცხადდება ჩემდამო რწმუნებულ ტფილისის მაზრის საგანგებო დანიშნულების ნაწილის კომუნართა საყურადღებოდ, რომ 9 ივლისიდან 23 ივლისამდე, დილის 9—3 საათამდე, ყოველ დღე იწარმოებს ატესტაცია ყოფილ ოფიცრებისა, უნტერ-ოფიცრებისა, და აგრეთვე წითელ კომანდირებისა მათს ჩასარიცხად როგორც მილიციის შემადგენლობისა და სამწყობრო ნაწილის, ისე სამეურნეო-საადმინისტრაციო თანამდებობაზე. ამის გამო წინადადება ეძლევა ქ. ტფილისში მყოფ ზემოხსენებულ პირთ, გამოცხადდნენ აღნიშნული ვადის განმავლობაში საატესტაციოდ.

ატესტაცია წარმოებული იქნება ტფ. მაზრის საგან. დანიშ. ნაწ. შტაბში, კარლ მარქსის მოედანი № 2.

ტფ. მაზრის საგანგებო დანიშ. ნაწილის უფროსი დოლიძე.

განცხადებები

კალენიკე, ერნა და ტასო იაშვილები აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს გარდაცვალებას.

ლილი კალენიკეს ასული

იაშვილისას

დაკრძალვა მოხდება კვირას, 8 ივლისს ნიკოლოზის (ვერა) სახელობის სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 11 საათზე ერმოლოვის ქუჩიდან № 2. 929—2—2

გულდამწუხრებული რძალი ნადია, შვილები: ლავრენტი, მართა, პასიკო და ვალერია წურქავეები, ეფროსინე თუთბერიძე, შვილისშვილები: გიორგი, ვალიკო და დათო ალექსანდრესძე წურქავეები და გრიგოლ თუთბერიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ძვირფას და დაუვიწყარ

აღათი გაბელია **წურქავას**

სულის მოსახსენებლად კვირას, 8 ივლისს გადახდილი იქნება სოფ. გეჯეთში ორმოცი და ქ. ტფილისში ქვაშვეთის ეკლესიაში დღისით 12 საათზე წირვა და პანაშვიდი.

932—1—1

საიჯარო გაყიდვა მოქ. ს. საიანოვის ქონებისა, მუშა-მოსამსახურეთა სასარგებლოთ,

დანიშნულია

11 ივლისს ა. | წ. 12 საათზე დღისით, ზემოაღნიშნულ პირის ბინაზე. გაბაევის ქ. № 5.

სახლი

თავისუფალი ბინებით საჩქაროდ და იაფად იყიდება, ვისაც სურს იყიდოს და გაყიდოს უნდა მიმართოს მამა დავითის ქუჩაზე № 3, ბინა 2 დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გაყიდვა განახლდა

935—1—1

ნახვა და ჩაწერა 9—2 ს. და 4—7 ს. მცირე ხნის განმავლობაში გავდივარ სრულ კურსს

მათემატიკისას და ვამზადებ

მუშფაკზე, შრომის და სამხედრო სკოლ., საბებიო ინსტიტ (ქალებს), საერთო განათ. კურსებ. შესასვლელად. პლეხანოვის ქუჩა № 25. (შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5). 934—3—1

ამ.-კავკ. ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში

ამით აცხადებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ შემდეგს:

1) ა. კ. ფინსახკომის დადგენილებით დაწესებულია შემდეგი ვადები 1923 წლის 1 ნახევრის (იანვარი ივნისი) დამატებითი სარეწავი გადასახადისათვის:

ა) გადამხდელთაგან საპასუხოების შეტანა უსამართლოდ დაბეგვრისათვის რაიონულ საგადასახადო კომისიებში უნდა დამთავრდეს ქ. თბილისში და თბილისის მაზრაში 1 აგვისტოსათვის, დანარჩენ ადგილებში და აგრეთვე აჭარისტანის, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში—15 ივლისისათვის.

ბ) აღრიცხული გადასახადის ხაზინებში შეტანისათვის უკანასკნელ ვადათ დაწესებულია ქ. თბილის და თბილისის მაზრისათვის 15 აგვისტო; დანარჩენ ადგილებისათვის—30 ივლისი.

დამატებითი სარეწავი გადასახადის გადამხდელთ ეუწყებათ, რომ თუ ისინი თავის დროზე ვერ მიიღებენ ხარჯის ფურცლებს, ვალდებულნი არიან გამოარკვიონ თავიანთი დაბეგვრის საქმე სათანადო ფინინსპექტორთან სავაჭრო-საწარმოოთა ადგილმდებარეობის მიხედვით.

2) თანახმად ა | კ. ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიმდინარე წლის 5 აპრილს დამტკიცებულ წესდების მე-6-ე მუხლისა, ა. კ. ფინსახკომის რწმუნებულმა საქართველოში დააწესა თავის დროზე შეუტანელ გადასახადზე შემდეგი სახის საურავი რაიონების მიხედვით:

1 რაიონი—თბილისი, ქუთაისი, ბათომი და ფოთი—25 პროც. შეუტანელი თანხისა.

2 რაიონი—გორის, თელავის, სიღნაღის, ბორჩალოს ქუთაისის და შორაპნის მაზრები—20 პროც.

3 რაიონში შედიან დანარჩენი მაზრები და აგრეთვე სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები, რომლებთათვის საურავის რაოდენობა განსაზღვრულია 15 პროცენტით მთელი შეუტანელი თანხისა.

ეს საურავი დაწესებულია 1923 საგადასახადო წლისათვის გაწერილ სახელმწიფო გადასახადის ნარჩენებზე და გადახდება გადამხდელთ ყოველი 15 დღისათვის; არა სრული 15 დღე ჩაითვლება 15 დღეთ.

ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართ. **ბიბინეიშვილი.**
გადასახადთა განყოფ. მართველის მოადგილე **ბეზირგანიშვილი.**
კრ. 491—1—1

შოვის კურორტი
ინსტრუქცია

შოვის კურორტის და სანატორიუმის მოწყობისათვის საქართველოს ტერიტორიაზე

მოთავსებულ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების ერთი დღის მთელი ნავაჭრი თანხიდან 10 პროც.-იანი გადარიცხვის აკრეფისათვის.

1. აღნიშნულ თანხის აკრეფის ჩასატერებლად ყველა საქართველოს რაიონის საგადასახადო განყოფილებებში მოწყობილი იქნეს სამეულები (ტროიკები) შემდეგი შემადგენლობით:

ა) თავმჯდომარენი ქ. ქ. თბილისში და ბათომში შოვის სანატორიუმის და კურორტის მომწყობ კომისიის წარმომადგენელი, წევრნი: ფინინსპექტორი და რაიონის მილიციის უფროსი.

ბ) დანარჩენ ადგილებში: თავმჯდომარენი სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელი: წევრნი: ფინინსპექტორი, პარტკომის მდივანი და დახმარე სამაზრო პროფ-ბიუროს მდივანი.

შენიშვნა: მაზრებში, სადაც არსებობს რამოდენიმე რაიონის საგადასახადო განყოფილება, უნდა დაარსდეს ერთი სამეული, რომელშიდაც წევრად შედის ყველა ფინინსპექტორები თავ-თავიანთ რაიონების ფარგლებში.

2. აღნიშნულ სამეულების განკარგულებაში მივლინებულ იქნეს საჭირო რიცხვი პარტიულ და პროფესიონალურ თანამშრომლებისა და აღმასკომთა ფულის ამკრეფი აგენტები, რომლებთა მოვალეობას შეადგენენ სავაჭრო-სამრეწველოთა მეპატრონეების ხელმძღვანელობა აღნიშნული გადარიცხვის წესრიგის შესახებ, და გადარიცხულ თანხის აკრეფა.

3. სიები, სავაჭრო-სამრეწველოს დაწესებულებათა მიერ ერთი დღის განმავლობაში მიღებულ თანხისა, შედგენილ იქნეს რაიონის საგადასახადო განყოფილებათა თანამშრომლების მიერ იმ ცნობების მიხედვით, რომელიც მოიპოვება განყოფილებებში გადამხდელთა ბრუნვის შესახებ დამატებითი სარეწავი გადასახადით დაბეგვრისათვის 1923 წლის 1 ნახევარში (იანვარი—ივნისი).

4. გადარიცხული თანხის აკრება უნდა მოხდეს მხოლოდ მივლინებულ თანამშრომელთა მიერ, რომელთაც ექნებათ საგანგებო კომისიის მანდატი და საკვიტანციო წიგნაკები, შემოწმებულ ა. | კ. ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულის ბეჭდით.

5. აკრეფილი თანხა უნდა იქნეს შეტანილი ადგილობრივ ხაზინებში შოვის კურორტის და სანატორიუმის მომწყობ საგანგებო კომისიის დეპოზიტში. შემდეგი რევიზია წიგნაკებისა, სწორი ცნობების ჩაწერის და ფულის აკრეფის მხრივ ეკუთვნის სამეულებს, მოწყობილს ამ ინსტრუქციის 1 მუხლის თანახმად.

შოვის კურორტის და სანატორიუმის მომწყობი საგანგებო კომისიის თავმჯდომარე **შამშე ლეჟავა.**

ა./კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართ. **ბ. ბიბინეიშვილი.**

492 1—1

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს სავაჭრო განყოფილება

აცნობებს სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერატივებს და კერძო პირებს, რომ 11 ივლისს დილის 10 საათზე

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება ტყავი **Chrom Kid**, პირველი და მეორე ხარისხის, **Chrom chevreau** და **Box** 1500 ცალის რაოდენობით.

საჯარო ვაჭრობა ზეპირია, ადგილი—ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საწყობები (საბაჟოს ეზო).

ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეიტანონ სააუქციონო კომისიაში საქონლის ღირებულების 10 პროცენტი.

კრ. 494 2—1

თანახმად ბრძანებისა ს. ს. ს. რ სამხედრო კომისარიატის და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიმართ ა. წ. 5 ივლისის თარიღით 183 №-რით

ვაცხადებ ახალ აღრიცხვას ს. ს. ს. რ. ტერიტორიაზე მცხოვრებ მთელ საექიმო პერსონალისას.

ახალ აღრიცხვის პირველ დღეთ ქალ. თბილისის, მის და ბორჩალოს მაზრებისათვის ინიშნება 10 ივლისი ა. წ. ჯან. სახალხო კომისარიატის სამხედრო-სასანიტარო განყოფილებასთან რუსთაველის ქუჩა № 33 8 საათიდან 14 საათამდე, დანარჩენ მაზრებისათვის 15 ივლისი ა. წ. მაზრების და ავტონომიურ რესპუბლიკების სამხედრო კომისარიატებთან. ახალი აღრიცხვა თავდება ა. წ. 5 აგვისტოს. აღრიცხვაზე უნდა გამოცხადნენ: სამედიკო ექიმი კაცები 55 წლამდე, ექიმი ქალები 45 წლამდე, კბილის ექიმების 55 წლამდე, ფარმაცევტები და ექიმის თანაშემწენი კაცები—45 წლამდე. ახალი აღრიცხვა ხდება შემდეგი წესით: ასო ა-ზე—10 ივლისს, ბ—11, ვ—12, გ—13, დ, ე, ჟ—14, ზ, ი—16, კ—17, ლ—18, მ—19, ნ, ო, პ—20, რ, ს—21, ტ—23, უ, ფ, ხ—24, ჩ—25, შ—26, „ე, ჲ“—27, 28-ან 5 აგვისტომდე საპატიო მიზეზების გამო თავის დროზე არა გამოცხადებულთათვის სამხედრო მოვალე საექიმო შემადგენლობის პირნი, რომელნიც არ გამოცხადდებიან ნაჩვენებ დროზე, იქნებიან სამართალში მიცემულნი რ. ს. ს. ს. მიერ გამოცხადებულ № 1638 ბრძანებაში ინსტრუქციის § 6 ხაზი „ბ“ წესით.

493 სამხედრო სასანიტ. განყ. უფროსი: ექ. ნ. **გულისაშვილი.**

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი

აქირავებს საზაფხულოდ ოთახებს, მარტყოფის მონასტერთან

(შეიძლება მოწყობილობითაც). თვალწარმტაცი მიდამო. მშვენიერი კლიმატიური სადგური.

ფასები ხელმისაწვდომია.

7-დან 15 მანეთამდე (ჩერვონცებით) თვიურად.

ცნობების მიღება შეიძლება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში. ოთახი № 48. (484—3—3)

საექიმო-სასანიტარო დარგის მუშაკთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამ თვის 9-დან 21 რიცხვამდე კავშირის შენობაში (მუშათა სასახლე, ოთახი № 54, მეოთხე სართული)

დანიშნულია აღწერა კავშირის წევრთა

რომელნიც არ არიან გაერთიანებული ადგილობრივ კომიტეტებში (ერთეულები) და იმათიც, რომელთაც პატივსადებ მიზეზების გამო არ გაუვლია გაწმენდა. აგრეთვე ვალდებულნი არიან გამოცხადდენ კავშირში გადმოსარიცხავად ჩამოსული წევრები. ყოველი გამოცხადებული ვალდებულია იქონიონ თან საჭირო საბუთები. აღწერა იწარმოებს 9—11 საათამდე.

626 2—2 ცენტრალურ გამგეობის პასუხის-მგებელი მდივანი ცომაი

პროგრამა

შავი ქვის მრეწველთა მე-25 (მორიგი) ყრილობისა

1. ყრილობის თავმჯდომარის და მდივნის არჩევა.
2. განხილვა ანგარიშებისა: ა) საბჭოსი, ბ) სარევიზიო კომისიისა, გ) მარგანეცის კომიტეტის მოხსენებისა.
3. განხილვა სტატისტიკური ცნობებისა მადნების ნაყოფიერებაზე, შავი ქვის რაოდენობაზე, რკინის გზის საწყობებზე და გატანის რაოდენობაზე: რკინის გზის გადამზიდავ საშუალებებზე და საწყობებზე და სხ.
4. სამრეწველო რაიონის წყლით ხევებში მისავალ რკინის გზის გაყვანა.
5. სამრეწველო რაიონის წყლით. უზრუნველყოფა ძირიდან. (მოხსენება საქმეთა მმართველის).
6. საექიმო დახმარების გაწევა მუშა-მოსამსახურეთათვის.
7. მარგანეცზე დადებულ საფუთო გადასახადისა და მისი დანიშნულების შესახებ. (მოხსენება—თევზაძისა).
8. რკინის გზის საკითხები—(მოხსენება თავმჯდომარ.).
9. ჭიათურაში თუჯის და სხვა რკინეულობის ნაწილების დამამზადებელი სახელოსნოს გახსნა.
10. მიმდინარე საკითხები.
11. 1923 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.
12. თანამდებობის პირთა არჩევანი.

(კრ. 480—3—2)

კბილის ექიმი

ს. ა. ცეიტლინი

საპიორის ქ. № 41, მიღება მუდამ დღე 9—2 საათ. დღის და 4—7 ს.

კვირაობით 9—2 ს. დღის

ხელოვნური კბილები. ოქროს მუშაობა 25—

ელექტრონის სინათლის და

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დაარსებული**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკური მეთოდ

ექიმობას საჭიროებენ.

საამბულატორიო აწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელ

ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25

დავკარგე პირადობის მოწმობა მეათე ბავშვთსახლისა ვა აბუთიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 936—1—

დავკარგე პირადობის მოწმობა ქალაქ თბილისის მილ უფროსისგან მიღებული გიორგი მიხეილისძე შვილის სახელობაზედ, ჩაითვალოს გაუქმებულათ. 933—1

„ზარია ვოსტოკა-ს“ სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.